# ცისკარი.

**1866**

ნოემბერი.

## წელიწადი მეათე.

წოდება თხზულებათა:


I — ფაუსტი. ოპერა ექჳს მოქმედებად. სვ. ყანდინოვისა.

II — ლექსები: 1, ჭმუნვარე მგზავრი. ზ. ჭინამძღვაროვისა.

III — პატიოსნისა და დიდებულისა მთა წმინდისათჳს.

IV — სხუა და სხუა ამბავი (იხილე მეორე გვერდზედ.)


---


ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.



საქართველოს სახ… თბილისი საჯარო ბიბლიო…

## განცხადება ,,ცისკრის'' გამოცემაზედ.

მომავალის **1867** წლითგან ,,ცისკრის'' რედაქციაში მი-იღებს უმთავრესს მონაწილეობას ანტონ ფურცელაძე. აღთქ-მული გვაქუს თანამშრომლობა ბევრის ახალის მწერლებისა. სხუათა შორის დიმიტრი ყიფიანისაცა, რომელმაც აღგვითქვა მომავალის წლისთვს თარგმანი რომელთამე შექსპირისა და მოლიერის პიესებისა.

"ცისკარი„ იმედოვნებს, რომ ის, ამ ახალის შედგენილე-ბაში ჟურნალში მონაწილე პირთა, უჩვენებს მკითხველებს მცირესაც არის სარგებლობასა, თუმცა ბევრის აღთქმა აწმ-ყო მდგომარეობაში იმას არ შეუძლიან.

ფასი ჟურნალისა ისევ ის დარჩება (შინ გაგზავნით შვიდი და უიმისოთ ექვსი მანეთი). პროგრამმას ჯერობით არა ვს-ცვლით და მომავალი წელიწადი გვიჩვენებს რა ცვლილე-ბაებიც არის საჭირო, ან როგორ დავიჭიროთ საქმე, რომ გავაუმჯობესოთ ჩუენი ჟურნალი.

ამას გარდა ვეცდებით შეძლების და გვარათ გავაცნოთ ,,ცისკრის'' მკითხველები ახალს სამართლის ცვლილებასა და იმის მოძრაობასა.

# ფ ა უ ს ტ ი.

ოპერა ექჳს მოქმედებათა.

ბარბიე დ კაპპე.

მუზიკა ღუნოსი

---

მოქმედნი პირნი:

დოხტური ფაუსტი.
მეფისტოფელი.
ვალენტინი.
ვაღნერი.
მარგარიტა.
ზიბელი.
მართა.

სტუდენტები, ხალდათები, ქალაქის მცხოვრებნი, დედაკაცები დ სხჳანი

მოქმედება არის ღერმანიაში.

## მოქმედება პირველი

### კაბინეტი ფაუსტისა. ღამე.

### გამოცხადება ა.

(ფაუსტი მარტოთ. ისა ზის სტოლის წინ. რომელიც არის წიგნებით სავსე და პერგამენტებით (სქელი ქაღალდია) იმის წინ არის გაშლილი ერთი წიგნი. ლამპა იმისი თითქმის ჰქრება.)

ფაუსტი: უბრალოთ ვეძიებ სასტიკის სწავლის გზით ქვეყანასა და შემომქმედსა... სულისა ჩემისათჳს დატანჯულისა, სიხარულს ვეძიებ ტყვილად... ვიტანჯებოდი მარტოდ დიდხანს, უნუგეშოდ. მარა სულს არ ძალუძს. არ შეიძლება, რომ ის ღუთიური ნაპერწკალი უღონოს ხორცსა ამას დაემორჩილოს. არცა მაქუს ცოდნა, არც სარწმუნოება არის ჩემში (კეცავს წიგნსა და გაალებს ფანჯარებსა. თენდება.)

აგერ ახლად,... განათლდა ცა, ამოვიდა ცისკარი და განიფანტა ღამის სიბნელე; კიდევ მოდის დღე! (გაფრთხილებული).

ოჰ! სიკუდილო, როდისღა მომცემ მოსვენებას? (იტაცებს სტოლიდგან სტაქანსა).

რაკი შენ მექცევი, მაშ მე წამოვალ შენდა საყვედრად...გამარჯობა! ოჰ! ჩემო უკანასკნელო დღევ! მხიარულის სულით, უკანასკნელს დღეს უხვდები ამ სასმელის ძალით, ვსდგები ბრძანებლად ყოველის ბედისა.

(ასხამს სასმელს საღვინიდგან ფინჯანში და როდესაც მიაქუს პირთან, სცენას იქით ისმის ხმა.)

ხორი უმაწვილის ქალებისა.

რას გძინამს ქალო,
აგერ თენდება,
მალე ბრწყინვით მზე
ცას ეფინება.
ბულბული მღერის,
უშტვენს გალობას;
ვარდისა ფერი,
ცას მრგვლივ ედება,
ყვავილთ კოკრები,
შლილობენ მოწით...
ხალხთ გაიღვიძეს,
ახლისა ტრფობით.

ფაუსტი. ხალხის სიხარულის უჭკუო პასუხო.
დადუმდი... ჭანჭელ. გაიქეც შენ,
ჭო შენ, ოჲ ჩაშავ (1) მამა პაპეულიხავ,
ყოფილხარ ამსებული ღვინით
რისთჳს, რისთჳს ჩემს ჴელში შენა თრთი?
(ხელმეორედ მიაქჳს პირთან სტაქანი.)

(მამულის პატრონები ერთათ მღერიან.)

ცისკარი დღისა ჩუჱნ ველად გვიხმობს,
აჩრდილი ღამის კართ ვერ დაგვიხშობს.
რას ვიგვიანებთ ველს მივეშურნეთ
და სამუშაოთ დღეს სჩუჱნ ვემკვიდრნეთ.
ცა მოწმენდილი, დღე მშუჱნიერი,
ჩუჱნ სამუშაოთ აწ მიგვიწოდებს,
ცაც მოწმენდილა, ქარი მდუმარებს,
დიდება ცათა, და მათ შემომქმედს.

ფაუსტი. მე რას დავზდევ ცასა, ის ვერ დამიბრუნებს სიყვარულს სიჭაბუკისას და სარწმუნოებასა (გაცოფებით) თქუჱნ ყოველთა მე გწყევლით ხალხის სიტკბოებავ, და გწყევლით ჯაჭვნო საპყრობილის ჩემის ქუჱყნისავ, წყევლა შენ შემზადებულო ხორცისავ, უძლურისა და

(1) ჩაშა არის შამფანსკის ბოკალივით მოგძე სტაქანი.

ავათ მყოფისა. წყევლა სიზმართ სიყვარულისა და დიდებისა; წყევლა ცოდნას, ლოცვას და იმედსა. მოთმინება შემომაკლდა, ოჰ! სატანავ! ჩემთან!

## გამოცხადება 2 ფაუსტი და მეფისტოფელი.

მეფისტოფელი ცხადდება. მე ვარ შენს წინაშე... რადას ოცდები, შენი ხმა მომესმა შორით!... ხმლით წელზე. ფთით ქუდზე, პლაშჩით მდიდრულით, სავსე ქისით, მართალს ვამბობ. მე ის არავარ როგორიც უნდა! აბა რა გინდა დოკტორო ჩემგნით შენა? ნუთუ გეშინიან ჩემი?

ფაუსტი. არა

მეფისტ. ანუ არა ერწმუნები ჩემს ბრძანებლობას.

ფაუსტ. იქნება.

მეფისტ. შეგიძლიან გამოსცადო.

ფაუსტ. დაიმალე!

მეფისტ. ეგ არის მადლობის გადასხდა, შენ უნდა იცოდე რომ სათაელთან, უფრო რიგიანათ უნდა მოეპყრო, განა იქმნებოდა მოგეწოდა, შორითგან გამოცხადებული იყო. იმისათჳს რომ მეორე გარგი, გზა გეჩვენებინა?

ფაუსტ. რა შეგიძლიან ჩემთჳს იმოქმედო?

მეფისტოფ. შემიძლიან ყოველი, მარა მე მითხარ შენ. რა გინდა შენა? იქნება ოქრო?...

ფაუსტ. სიმდიდრეს რა უნდა უყო?

მეფისტ. ახ. ჰო! ახლა მესმის, შენ დიდება გინდა,

ფაუსტ. არ მინდა.

მეფისტ. იქნება ბრძანებლობა გინდოდეს.

ფაუსტ. არა! ვეძიებ იმას, რაც უკეთესია მე, მე! დღეებისა სიჭაბუკისა მსურს გაახლება. მსურს კიდევ, მე სიტკბოება, მხურვალე მოხვევნა და ნაზი ალერსი. და სურვილით ახლად მე მინდა დავიწვა, როგორც წარსულ დღეებში! ოჰ, მობრუნდი შენ ცხოვრებავ სიჭაბუკისავ! დამიბრუნე მე უკანვე აღტაცება ჩემი. უჭკუო ნდომა.

მეფისტ. კარგი.,. მე შენი სურვილი მზათ ვარ აღვასრულო.

ფაუსტ. რას მომთხოვ იმისა ნაცვლად?

მეფის. ეჰ! უბრალოა, არა ღირს ლაპარაკად. მე აქ მზათა ვარ სამსახურისა—მაშა იქა, შენ უნდა იქმნე ჩემი!....

ფაუსტ. იქა!

მეფისტ. ჰო! იქა! (აძლევს იმას პერგამენტსა დასვეულს ქაღალდ-სა.) აბა მოაწერე რაღა... შენი ხელი რაღასა თრთის? რაღას ყოყ-მობ? სიჭაბუკე ხომ შენ ახლად გისმობს. ინებე, შენ იმით იგმაყო-ფილე. (იმის ნიშნებით შიგნით სცენა იღება და ჩნდება მარგარიტა, მჯდომარე ჯარაზედ.)

ფაუსტ. ოჰ! რა საუცხოვო სანახავია.

მეფისტ. აბა? როგორ ხედავ?

ფაუსტ. მომეცი! (იღებს პერგამენტს და აწერს ხელს, მერე მო-უბრუნდება მეფისტოფელს) მე შენი ვარ!

მეფისტოფ. (იღებს ჩაშას დარჩენილს სტოლზე!) ძალიან კარგი.,.აბა ახლა შენ მე გიწვევ დაცალო ამ ჩაშით რაც არის ამაში, ახლა სიკუდილი აღარ არის, არც საწამლავი, მხოლოდ არის სიჭაბუკე და სიყუარული.

ფაუსტ. (ჩაშა აღებული მოუბრუნდება მარგარიტას) ვსვამ შენს გა-მო. ოჰ! აწრდილო ჩემო მშუენიერო. (სცლის ჩაშას და ფიცხლავ შე-იცვლება მშუენიერ და წამოსადეგ ყმაწვილ კაცად. ჩუენება განქარვდება)

მეფისტოფ. წავიდეთ.

ფაუსტ. იმას ვნახამ?

მეფისტ. დიახ?

ფაუსტ. ჩქარაც?

მეფისტ. დღესვე.

ფაუსტ. კარგი.

მეფის. მაშ რაღას ველი.

ფაუსტ. (ერთად) სიჭაბუკის დღეების მე მსურს გასკლება, მსურს კვალად მე სიტკბოება. მოსვევნა ვნებით, და სიყუარულის ცრემლით კიდევ მე ვიწოდე მინდა როგორც წარსულს დღეებში! ოჰ კამობ-რუნდი, შენ ცხოვრებავ სიჭაბუკისავ, და დამიბრუნე შენ უკანვე აღ-ტაცება მე.

მეფისტ. დღეების სიჭაბუკისა შენ დაბრუნება გინდა, და გსურს ახლად შენ სიტკბოება, მოსვევნა სიმხურვალით და სიყუარულის ცეც-ხლით. კიდევ იწოდე. როგორც წარსულს დღეებში. და ცხოვრება სი-ჭაბუკის შენ მოგიბრუნდა და ახლად დაითვრები აღტაცებით შენ.(მიდის

## წარმოდგენა მეორე.

### იარმარკა.

(ქალაქის ალაყაფის კარები. მარცხნივ ტრასტირი, რომლის კარებზედ არის დაწერილი ბახუსი.

გამოცხადება 1, ვაგნერი, სტუდენტები, ქალაქის მცხოვრებნი, სალდათები, ქალები და დედაკაცები.

სტუდენტები. ვივა ჩუჱნ, ვივა ჩუჱნ! და სტაქანი დამისხით!... გულს ახარებს ისა, ჩუჱნ სულს ამხიარულებს.

ვაგნერი. მოგვეცით ვივა დავიწყებთ სმასა!!. მე მშჳლს წყალი... თქუჱნ სტაქანში დამისხით, დაუსრულებლად დავლევ.

სტუდენტები. ვივას და ღვინოსა! უწყლოთა ვსვამთ იმასა.

სალდათები. რაც ციხეა ის ლამაზები; ეს თითქმის ერთია როგორც იმას ისე ამას, მივიდეთ და ავიღოთ. მხოლოდ იცოდე აღება სწრაფად და გაბედვით... ციხე რომ უნდა გატყდეს, ლამაზი უნდა შეიქმნეს ჩემი.

მოქალაქები. მდაბიურები. როდესაც უქმეს დღეს მოსვენებულ ვარ. მე ომიანობაზე მსურს ყურის გდება, დაესხნენ იქ სალხნი ერთმანერთთან მიდიან საომრათ. ვზივარ მოსვენებული წყლის პირას, მიყვარს ყურება შორით; იქით ხომალდები ცურამენ წყალში, მეკი ჩუმათ ვსვამ,

ქა ები. ვაჟკაცებო ჩუჱნკენ, შემოიხედეთ, მოსვლა უნდათ. რა უშავ? ქმრათ გამოდგებიან. დარჩით აქა.

სტუდენტები. შეხედეთ, აგერ ლამაზები ეძებენ საქმროებსა... გამოსულან თითქმის სანადიროთ... დაესხენ ხელი მოემართოსთ.

დედაკაცები. უყურეთ ნადირობას, ქალები წავიდნენ... არა, ჩვენ რითა ვართ იმაზე ცუდნი, არ გვიყურებენ ჩუჱნკი

ქალები. უნდა მოეწონოს.. მარა უკაცრავათ! ვერა.

დედაკაცები. გიცნობთ თქუჱნ, მზათა ხართ, ყველა კაცების დაჭერას.

მოქალაქებთაგანი ერთი. წავიდეთ მმანო ჩუჱნ ჩუჱნ სახლებში.

მეორეები. არა ჩვენ დავრჩებით, გათავებას ვუცდით.

სტუდენტები. მაშ იდღეგრძელოს სიხარულმა და დიდება ღვინოსა.

სალდათები. ვადითოთ ძმანო ყველამ მხედარი (ქალებს ეუბნებიან) თქუენ ნუ ამაყობთ, ნუ იგრიხებით.

დედაკაცები. (ქალებს). ვიცით ჩუენ, მზათა ხართ თქუენ საქმრო-ების შჯერასა.

სტუდენტები. რას ამპარტავნობთ, ნუ იგრიხებით.

ერთი სალდათი. წავიდეთ ძმანო, აღებად ციხისა წადით ს[illegible]!

მეორები. ჩუენ შენთან მზათა ვართ ციხის აღებას.

სტუდენტები. (ქალებს) ტყუილად ამპარტავნობთ! ჩუენ ვერ შე-გვაშინებთ.

ქალები. აბა მოდით მოახლოვდით, ჩუენ გიჩუენებთ სეირს.

სალდათები, მოქალაქები, სტუდენტები. ავამსოთ სტაქნები, ჩქარა ჩუენ პივით, ღმერთმა ადღეგრძელოს, მხიარულად ადღეგრძელოს ღვინო.

გამოცხადება 2. ვაგნერი, ზიბელი, ვალენტინ, სტუდენტები, ნერმე მეფისტოფელი.

ვალენტინი. (ვალენტინი მოდის შორით პატარა მედალიონი უჭირავს ხელში.) ოჰ! მედალიონო პატივსაცემო და წმიდაო ჩემო, მოცემულო ჩემის დისაგან! ომის ცეცხლის შუა იქმნები შენ ჩემს გულზედა. უწმიდესის თვალის მანათათა! შენ დამიცვამ მე!

ვაგნერი ახ, ვალენტინ! შენ სად დაგვემალე ჩვენ?

ვალენტინ. ამხანაგნო კიდევ სტაქანი და მერმე გზათა.

ვალენტინ. გესალმებით თქუენ მე, და ამ ალაგებსა, მარგარიტას! მე გიტოვებთ თქუენს მეოხების ქუეშა. არა ჰყავს დედა, ვინ დაიც-ვამს იმას.

ზიბელი. მეგობრები განა ცოტანი არიან. მერწმუნე შენ, ყველანი იქმნებიან მცველად.

ვალენტ. იმათი იმედი მაქუს მე.

ზიბელი. და ჩემიცა.

ვაგნერი. წავიდეთ, მარა ჯერ დავლიოთ ჩუენ.

ხორი. და სიმღერა ჩუენ ვსთქუათ.

ვაგნერი. მხიარულებასა- აბა გაიგონეთ... იყო და არა იყორა, იყო ძალიან მძიმარი თაგვი. და სარდაფში სცხოვრებდა და ხვიდა ახე:

მეფისტოფ. (მოდის) ნებას გთხოვთ უფალნო ჩემნო.

ვაგნერ. რაო? რომ დავსხდეთ თქჳენ შორის, გავიგონო სიმღერა თქჳენი. მერმე მეც მამცეთ ნებას, რომ ვსთქჳა სიმღერა, მხიარული გამღერეთ სიტყჳსა

ვაგნერი. თუ რომ კარგია, იმღერე.

მეფისტ. როგორც ვიცი ვიმღერი, გთხოვთ არ გამკიცხოთ.

I

ოქროს ღმერთო,
ქვეყნის ბრძანებელო,
შენ ხარ ძლიერი, შენ დიდებით ბრწყინვალებ,
ყველას ლოცვა შენზედ არის.
ყველა შენ გადიდებს,
ყველა შენ წინაშე მდაბრათ ეცემიან.
ერიც და მეფეებიცა.
ჭფანტავ შენ ოქროებს ,
შენ ხარ ერთი ღმერთი ქჳეყნის,
და მინისტრი ჴელუხლებელი.

II

ოქროს ღმერთო,
ყველაზე უძლიერესო.
არავინ არის მოწინააღმდეგე შენი,
არავისი არ გეშინის ,
ხედავ შენ ფეხ ქვეშ შენს
თაყვანის მცემელ კაცთ გვართა,
შენთჳს იბრძვიან ხალხნი,
ყველგან მომდინარეობს სისხლთ,
შენ ხარ მეფე ქჳეყნის.
და მინისტრი ჴელუხლებელი.

ხორი. ხაოცარი სიმღერა სთქვი.

ვალენტ. თჳთ მომღერალიც სიმღერაზე გასაოცარია.

ვაგნერ. (აძლევს სტაქანს მეფისტოფელს) გზურს ზემე პატივი ჩუენ და დალიო ჩჳენთან

მეფისტ. (იღებს კუბას) რატომ არა. (ართმევს ხელს ვაგნერს და

უშინჯამს იმას ხელის გულსა. ოჰ! ეგ ნიშანი ძალიან ცუდია.

ვაგნერი. რით!

მეფისტ. ცუდი მოამბეა! მოკუდები ომში, პირველსავე შემთხვევაში.

ზიბელი. (მეფისტოფელს) იცით ჯამოცანა ჭკა?

მეფისტ. (ართმევს ხელს ზიბელს.) კმარა, რომ გითხრა, ვიედამ გარგათ, შენ ვერ მოსწყვეტ ყვავილს, რომ მაშინვე არ დასჭკნდეს, შენი ბედი ეგ არის.

ზიბელი. ოჰ! ცაო.

მეფის. თუ გინდ რომ წაუღო ეგრე მარგერიტას.

ვაგნერი. აგრე? მე მის იმის ხასხელი.

მეფისტ. საყვარელო! ფრთხილად, მე ვიცნობ კაცსა, რომელიც შენთჳს არის საშიში (მერე მიუბრუნდება სხვებს).

თქვენ სადღეგრძელოსა ვსვამ! მარა რა ცუდი ღვინოა, გნებავსთ უკეთესი? ნახეთ უფალიო? (სცემს ბოჩკაზე რომელიც არის კარების თავზედ დაკიდებული ვივესკაც დუქნისა) შენ ეი! პატარა ღმერთო მასვი მე! (სვამს ღვინოს და აძლევს მეფისტ სტაქანს.) მოდით და დალიეთ ყველამ ვისაც გსურსთ, მობძანდით, ჩინებული ღვინოა, და დალიეთ მარგარიტას სადღეგრძელო.

ვალენტინი. მე დაგაჩუმებ, შენ გეფიცები, ანუ დავიღუპები თჳ თონ.

ვაგნერ. ოჰ! ცაო!

მეფისტ. (სიცილით) რაღასა თრთი შენ? ნუ გეშინიან, არაფერია. (ვალენტ. იღებს ხმალს; ვაგნერი ზიბელი სტუდენტები და მეფისტ. მეფისტ შემოიხაზავს გარშემო ხაზსა სტუდენტები დაერევიან იმას, მარა შედგებიან როგორც წინ დაუდგეს რამე. ვალენტინს ხმალი უტყდება.)

ვალენტ. ჩემს ხელში ჩემი ხმალი გატყდა.

ვალენტ, ვაგნერი, სტუდენტები და ზიბელი. აბა ვნახოთ ეშმაკისა თუ არის ძალა. ჩვენ ჯვარცმულის სულითანაც ვიბრძოლებთ (მეფისტოფელს ძალით დააყენებს უკან იმით რომ ხმლების ტარს, რომლებიც არიან ჯვარედინათ გაკეთებული მოატრიალებენ და მას უჩვენებენ.)

გატეხა რომლისა შენ შეიძლო, ერთისა შენის სიტყვითა, მარა ამ-ნიშნისა წინა. თრთი ეშმაკო შენა შენი, სიმულე ბოროტი, ვერ გაუ-

ძლიერს ამას წინა! ჯამშვიდდი და დამორჩილდი, ჵო წყეულო სულო ჯოჯოხეთისავ,

გამოცხადება 3. მეფისტოფ. და ფაუსტი.

მეფისტ. (დაცინვით თავს უკრამს) მშვიდობით უფალნო, ვნახამთ ერთმანერთსა ჩვენ კიდევ.

ფაუსტი. ეს არის?

მეფისტ. არა ფერია.... დროს გასატარებელია ჩვენნი, დოხტურო, რა გინდათ თქვენ. საიდან უნდა დავიწყოთ ჩვენ.

ფაუსტ. მითხარი სად არის ისა, სად არის მშვენიერი, მითხარი მე, ანუ მხოლოდ მოჩვენება იყო სიზმრის?

მეფისტ. არა! მხოლოდ თავის ხიწმინდისგამო შენგან იმალება, არა სჯობს მოძებნა სხვისა.

ფაუსტ. სხვისა? არა.... წადი და მეც იმასთან წამიყვანე, ანუ მე შენ დავშორდები.

მეფისტ. ეჰ! მაშ კარგი... მზათა ვარ! იმას ნახამ შენ. მე დიდად გაფასებ, შენ თავს საყვარელო დოხტორო. პატარა მოიცა, და გამოცხადდება მშვენიერი პრაზნიკურის ხმაზე და ვეღარც წაგვივა ჩვენა

გამოცხადება. 4 ისინივე, სტუდენტები, ქალები, მოქალაქები, მერმე ზიბელი და მარგერიტა.

ხორი. როგორც საღამოს ნიავი. ხუმბუქის ქროლვით, იღებს მტვერს ბოძივით, ისე მოხუცულ მეზობლის ქალებს კისერი ვალსით ჩვენ ვსცხოვრებთ, მტვერი აგვაქვს ჩვენ თუთონ.

მეფისტ. (ფაუსტს.) ხედავ მშვენიერთ შენ გუნდთა? იმათგანი თუ გინდა ამოირჩიე ერთი.

ფაუს. იგმარე შენ ერთი დაცინვა, დაუტევე შენ ეს გული, დამატკბობელს სიზმარს.

ზიბელი. მარგარიტამ უნდა გამოიაროს აქეთკენ მალე.

რამდენიმე ქალები. (მიახლოვდებიან ზიბელთან.) განა ჩვენ უნდა მიგიწვიოთ სატანცაოთ!

ზიბელი. არა, არ მინდა ტანცაობა.

ფაუსტ. აი ისა! რა მშჳენიერია.

მეფისტ. მაშ მიდი მიუახლოვდი.

ზიბელი. მარგარიტა!

მეფისტ. თქჳენ რა გინდათ?

ზიბელი. ოჰ! წყეულო! აქა ხარ კიდევ?

ფაუსტ. (მიუახლოვდება მარგარიტას) ნებას მომცემთ მე. მშჳენიერო ფრეილეინავ, თქჳენს ხელი გთხოვოთ, საზოგადო გასეირნობისათჳს?

მარგარიტა. მე ფრეილინა სულაც არა ვარ, და არც სრულებით მშჳენიერი და ამისათჳს არც ღირსვარ მე გმირის ხელისა.

ფაუსტ. როგორი უმანკო სანახავია!! როგორი საყვარელი სიმშვიდე აქუს, ჩემო ანგელოზო, მე შენ მიყვარხარ?

ზიბელი. ისი განშორდა!

მეფის (ფაუსტს). აბა რა ვქმენ?

ფაუსტ. უარი მყო მე.

მეფისტ. სიტყვა იმისი უბრალოა, წავიდეთ, უჰ, მე გწყდავ.. შენ საქმეში გარევას, მე ვალდებულს ვარ დოსტურო ჩემო. (მიდიან ფაუსტი და ისა ერთათ იმ გზით, საითაც წავიდა მარგარიტა)

ქალები. დავინახეთ: მარგარიტამ, ხელი არ მიიღო დიდის კაცისკან!

მეორები. გაიწევენ ჩჳენ სატანცაოთ.. აბა ჩქარა, როგორც გაზაფხულის ნიავი და ხსჳა. დავკრათ მიწაზე, ხუბუქის ფეხით, ფეხებშიაც და გულშიაც დაესხენ აგვენთოს ალი, და კიდრე ცოცხალ ვართ, ვისტჳნოთ სულა, მზათა ვარ სიკჳდილამდე, ვითამაშოთ ჩვენა.

## მოქმედება მესამე.

### ბალი მარგარიტასი.

#### გამოცხადება 1. ზიბელი მარტოთ შემოდის ბალის კარებში.

ზიბელი. უთხარით სიყვარულზე იმას, თქჳენ ყვავილნო, უთხარით, რომ ის ჩემთჳს, საუნჯეა მარად. უთხარით რომ სტანჯავს სიყვარული ჩემს გულს, მე თქჳენ ყვავილნო, ჩემსას განდობით ოხვრას, უთხარით, რომ იმას ვატარებ მე გულში. (სწყვეტს ყვავილს)

დასჭკნენ ღმერთო ჩემო, კუდიანმა, წყეულმა, მე ამისხნა, (კიდევ სწყვეტს ყვავილს, რომელიც ფიცხლავე უჭკნება იმას ხელში) ოჰ რა ვქნა! როგორც რომ მოვწყვიტე ყვავილს მე, ის ფიცხლავე ჭკნდე-ბა. ნაკურთხი წყლით უნდა ხელი გადვიბანო, აქ მოდის ხოლმე მარგარიტა, სალოცავათ მზის ჩასვლის დროს. — ვნახოთ.. (წყვეტს ყვავილს) აბა! დასჭკნენ თუ არა... ოჰ, ეშმაკო დამარცხდი.

თქვენი იმედი მაქვს მე. თქვენ ჩემ მაგიერ უთხარით, და აცნო-ბეთ იმას, როგორის გულით მე ვიტანჯები. როგორ მე იმისათვის ვსწუხვარ და ვკვდები. ყვავილებს მივანდობ მე. ეტყვიან ჩემს აღსარე-ბას. როდესაც იმას სიყვარულისა ეშინიან, მაშ ყვავილებმა, აუხსნან ყოველი ცეცხლი ჩემის სულისა.

## გამოცხადება 2. მეფისტ. ფაუსტ და ზიბელი.

ფაუსტ. (ჩუმათ შემოდის ოთახში.) მივედით, შეჩუენა?

მეფისტ. მომდიე შენ მე.

ფაუსტ. რას იყურები გარეშე?

მეფისტ. შენი მოწინაამღდეგე აქ არის ზიბელი.

ფაუსტ. ზიბელი?

მეფისტ. ჩუმათ, აი ისა! (იმალებიან ფაუსტ და ისა.

ზიბელი. (შემოდის სცენაზე ბუკეთებით ხელში.) ახ, ეს ყვავილები რა მშვენიერებია.

მეფისტ. ძალიან საუცხოვოა.

ზიბელ. გამარჯვებას? მე ხვალ უამბობ იმას ყველა ისტორიას. (ბუკეტს მიაბამს პავილიონის კარებზე) და თუ რომ უნდა ჯაზრი შე-იტყოს ამ ბუკეტისა, მე კოცნით აუხსნი,

მეფისტ (თავის გულში) ახ მაცდურო! (ზიბელი მიდის კალიტკი-დგან (კარებიდგან.)

## გამოცხადება 3 ფაუსტი და მეფისტ.

მეფისტ. ეხლავ მოვალ მე დოხტურო, ვიშოვნი ბუკეტს, რომ გა-სწვრივ ბუკეტისა თქვენის მოწაფისა ჩამოკიდო — მაგრამ ჩვენ უფრო იქმნება უკეთესი იმისთანა მართლად რომ სიზმაში არ ენახოს.

ფაუსტ. წადი.... მე აქ მოგიცდი.
მეფ. უკან ეხლავე დავბრუნდები!

### გამოცხადება 4. ფაუსტ. მარტო.

როგორღაც გულში გრძნობ მე რაღაცას არეულობას!!.. მარგარიტა! შენ ეგეს ქვეშ ჩემს სიცოცხლეს გაატარებდი, მოგესალმი შენ ოჰ, ასულო მშვენიერო, უწმიდესო სადგურო გამყოფელო იმისა. ოჰ! ამ სიღარიბეში საუნჯე დაფარულ არს, და ბედნიერება ამ სიჩუმეში ცხოვრებს გაბრწყინვალებული წმიდა და სუბუქი აქ გაიზარდა ისა ... აქ დარბოდა ისა უმარწვილი ზილიფებაინი... აქ მზე მის ნაწნავებს ხსივით უქლვებოდა. ბრწყინავს აქ ისა, ხსივით ხილამაზისა. ის ცის სული ჩემი ამანთებელი.

### გამოცხადება 5. მეფისტ და ფაუსტ.

მეფისტ. უყურეთ... აი მეც აქა ვარ, თუკი რომ ძალა უგავილისა არს უძლიერეს ალმასისაა,მეც მზათა ვარ რომ მივცე ყოველივე ჩემი ძალა.

ფაუსტ. წავიდეთ!.. იმას მე ვერ დავინახამ.

მეფისტ. ნუთუ შიშმა აგიტანა? აი ახლა ალმასების გარებზედ, უვავილებს ირჩევს, თუ იმასა?

### გამოცხადება 6. მარგარიტა მარტო.

როგორ მსურს რომ მე შევიტყო, ვინ არის, ანუ საიდგან რომელიც, მე შემხვდა და რა ეწოდება იმას სახელად

იყო და არა იყორა, იყო ერთი ხელმწიფე, თავის სიკუდილამდე. იმან საუკუნოთ, სახსოვრად თავის საყვარელის გუბოკი (1) ოქროსი შეინახა. (გასწყვეტამს სიმღერას).

როგორ იმას, მშვენიერი მოძრაობა აქვს (კიდევ დაიწყებს სიმღერას.

---

(1) გუბოკი არის ღვინის სასმელი მაღალი ყანწივით ხტაქანი.

ისე იმას არვინ უყვარდა, და ყოველთჳს როდესაც პირთან მიიტანდა, კუბას ჴელმწიფე თავისთან, თუალები ემსებოდა ცრემლებით.

როდესაც რომ კვდებოდა, კუბოკი ოქროსას სტაცა იმან ჴელი. სახსოვრათ დალია და ერთგული სიკჳდილამდე იყო იმისი.—(გაწყვეტს)

არ ვიცოდი რა მეთქვა, და მხოლოდ გავწითლდი. (კიდევ დაიწყებს სიმღერას). სასხოვრად და პატივის საცემლად თავის საყვარელისა დალია ჴელმწიფემ უკანასკნელად: კუბოკი ოქროსი გააგდო ჴელით, ან. მხოლოდ რიცარებსა აქუსთ ამისთანა წამოსადეგი შეხედულობა, და ზდილური ლაპარაკი. ის ჰჯობს რომ არც ივიქროს კეთილო ვალენტინო! ღმერთი მოწყალეა, კიდევ ვნახამთ ერთმანერთს მარა... აქ მარტო მე ვარ. (მიდის პავილიონთან და ხედამს ბუკეტს კარებზედ ჩამოკიდებულს) ყვავილები! ზიბელისგან იქნება უეჭველად. როგორი კარგებია! (ნახამს პატარა ყუთსა) რას ვხედამ მე? საიდგან არის ეს მდიდარი ყუთი! ამის მიკარება მე არ შემიძლიან, მარა აქ გასაღებიც არის, აი.. გავბედო გაღება? ჴელი მითრთის, გავბედავ!... გავაღებ... არა! მარა ამაში რა იქმნება ცუდი. (აღებს ყუთსა და გააგდებს ბუკეტს) ოჰ! ცაო, თვლები ძვირფასი! როგორ საუცხოა და სიმდიდრეა, ტკბილო სიზმარო განა მართლა ცხადია! სიმდიდრეს ვხედავ მე ამისთანას! ახ! ნეტავი თუ მხოლოდ შემეძლოს, ყურებში გაყრა. აი ამისი... ამისთანა ბრწყინვალე საყურეები. აი სარკეცა.. თითქოს იმისათჳს არის განგებ, რომ მე იმაში უყურო... რა სასაცილოა, რომ ვხედავ იმაში, მე ჩემს სახესა. მაშ ჩემს თავს მე ველაპარაკები. მარგარიტა შენა ხარ მითხარ მე? ეგ შენა ხარ? მითხარ რაღა არა შენ მაგისთანა არა ხარ, ჴელმწიფე ხარ შენ ეხლა, მე მუხლს ვიდრეკ შენს წინაშე, თაყვანსა გცემ შენ! აჰ თუ ოდესმე ნახვა, შეეძლოს ამ გვარათ იმას ჩემი, აი ეხლაკი შეეძლო, იმას ვეწოდე რასაკვირველია ფრეილინა. მარა ახ!. ის აქ არ არის. ახ! რა მშვენიერი ქვებია! როგორი ბრწყინვალებენ იაგუნდები; როგორ იწვიან ცეცხლივით ალმასები და როგორი წყალი აქუს

გამოცხადება 6. მარგარიტა და მართა.

მართა. ოხ ღმერთო ჩემო! რას ვხედავ! როგორი მშვენიერი ხარ რა არის ეგა.

მარგარიტა, ოხ!

მართა. რა სამკაულია!

მარგარიტა. ესენი შეცდომით არიან აქ მოტანილნი.

მართა. არა! არა! ეგენი შენთჳს არიან, ჩემო მშჳენიერო საჩუქრათ. ეგა მოარშიყე დიდი კაცისაგან, ჩემს ქმარს არას დროს ამისთანა ნივთები არ უყიდნია.

გამოცხადება 7. იგივე, მეფისტოფელი და ფაუსტი.

მეფისტ. მითხარით მე, აქ ხომ არ არის უფალა შვენიერი.

მართა. ვის უნდივარ მე?

მეფისტ. მომიტევეთ. რომ თქჳენ უცერემონიოთ წარმოგიდგებით (ფაუსტს) უყურეთ საჩუქრებს (მართას) ლაზათი აქჳსთ თავისი, მაშ თქჳენა ბრძანდებით მართა შვერინ?

მართა, დიახ! უფალო მე გახლავართ.

მეფისტ. ამბავი რომელიც მოგიტანეთ მე, არა მგონებ რომ იყოს თქჳენთჳს სასიამოვნო.

მარგარიტა. (ფაუსტს რომ დაინახამს.) ოჰ, ცაო! (ცდილობს მოიხსნას გულის სამკაული ბრასლეტი და საყურები და ჩაალაგოს იაშჩიკში.

მართა. რა ამბავია?

მეფისტ. ისა, რომ თქჳენმა მეუღლემ უძვირფასესმა თქჳენი ჭირი წაიღო.

მართა. (მეფისტოფელს) ახ! ღმერთო ჩემო, რა უბედურებაა.

მარგარიტა. ოხ, გული რა ძრიელ მიცემს იმის ახლოს.

ფაუსტ. სურვილი ციებისა ჩემთან იმის ახლოს.

მართა. (მეფისტოფელს) მაშ სიკჳდილის წინათ, იმან შენ არა განდორა?

მეფისტ. (მართას.) არა... ამისათჳს ვალდებული ხართ თქჳენ ფიცხლავ მოადგილე იშოვნოთ.

ფაუსტ. (მარგარიტას.) რათ მოიხსენით თქჳენ ეგ მორთულობა?

მარგარიტა. (ფაუსტ.) ჩემთჳს არ არიან ისინი ამისათჳს უნდა მოვიხსნა.

მეფისტ. (მართას.) აბა ვინ არ იქნება მხიარული, თქჳენ ბეჭედი

ქორწინებისა ჩაგაცვათ.

მართა. რას ამბობთ!

მეფისტ. ი ქუენმა ბედმა კარგათ იმუშავა.

ფაუსტ. (მარგარიტას). ოჰ მამეცით ჴელი, გევედრებით.

მარგარიტა დამანებეთ თავი თქუენ მე გთხოვთ.

მეფისტ. ნება მიბოძეთ თქუენთან ხეირნობისა?

მართა. (ძალიან განათლებული კაცია.)

მეფისტ. დედაკაცი ხანში შესულია.

მართა. განა სულ დასდიხართ?

მეფისტ. რა გაეწყობა საჭიროებას.

მართა ახალგაზდობაში რასაკვრელია, არაფერია: მარა ხნიანობისა-თჳსკი მძიმეა, ამ წუთს სოფელში მარად ყოფნა მარტოობაში.

მეფისტ. ერთისაგან ვთრთი მე ფიქრისა, მარა რა ვქნა არ ვიცი?

მართა. ნუ დააგდებ საქმეს, უნდა იფიქროთ თქუენ.

ფაუსტ. სულ მარტოთ ხართ თქუენ.

მარგარიტა. სალდათია ძმა ჩემი, დედა მიწაში მყავს, მწარე არ არის ჩემი ბედი? მოკუდა ჩემი და... რა სახით მე ის მიყვარდა, ის იყო ანგელოზი ცისა, ისე ყურადღება მქონდა იმაზედ, და უქმე იყო იმისათჳს ისა, სიკვდილმა მომტაცა და.—მოხდებოდა, რომ ასხელდა თითქოს თვალსა, მე იმასთან ვრბოდი, რომ ის ცეცხლი მენახა, მეე-ლას დავსთ ობდი იმისათჳს.

ფაუსტ. თუ რომ ცას დაუბადამს, ისიცა შენს მსგავსად, მრწამს, რომ არ არის ცაზედ. სული ბრწყინვალე იმაზედ.

მარგარიტა. არა მრწამს... მძლავრო, თქუენ სუმრობით მხოლოდ, უჰ, სასაცილოდ მიგდებთ მე, არ შეიძლება დადგომა, მე უნდა წავიდე.

ფაუსტ. შენ მაკვირვებ, დარჩი ჩემთან! მე ანგელოზათ ქუეყნისა შენში ვპოვებ, რათ იჭვნეულებით, რათ სთრთით აგრე?

მართა. რათ დაჩუმებულ ხართ? დაფიქრებულხართ როგორღაც, ეჰ, სასაცილოთ მიღებთ მე, მარა უნდა გამიგონოთ კი მე, განდებულ-ხართ

მეფისტ. შესაძლებელია იყო ჩემს სიყვარულზე ეჭვიანათ და ჭკუ-მარიკების მაძლება არ ერთმუხოთ სიტყვას, მინდოდა დარჩენა, მე თქუენ გეუბნებით.

მარგარიტა. დროა განშორებისა.

ფაუსტ. საყვარელო ჩემო.

მარგარიტა. დამანებეთ.

ფაუსტ. ოჰ, სასტიკო მირბიხარ შენ?

მეფისტ. მივარდა საქმე საქმეთა. და სჯობს გაცლა.

მართა. (იმალება) რა არის ესა? ის დაიმალა.

მეფისტ. მაშ ჰო!., ეძიე! უჰ, ეს ბებერი.

სორი. თუგინდ ქმრათ მზათ არის აყვანისა

ფაუსტ. მარგარიტა!

მართა. რა არის უფალო?

მეფისტ. მე მორჩილი მონა.

გამოცხადება. 8, მეფისტ. დამალული, მართა, მერმე ზიბელი.

ზიბელი. მამეც ჰქათ სიმხნევე!.. უქედას ფერში იმას გაუტყდები.

მართა. ეს ის არის, მე ვგონებ.

მეფისტ. არა, არა.

მართა, თქვენ უფალო?

ზიბელი. ვინ ხართ თქვენ?

მართა. ზიბელ?

ზიბელ. მე ვარ.

მართა. რისათვის ბაღში მარგარიტასი მოსულხართ სამებნელდათ თქვენ ბნელა ღამეში? მამისმინეთ საყვარელო ჩემო! არ იქმნება ურიგო შინვე დაბრუნდე, და დასწვეთ დასაძინებლათ მერწმუნეთ.

ზიბელ. კარგია მარა, მე ლაპარაკი მინდა.

მართა. წავიდეთ, მიჩვენე მე გზა, გთხოვთ მე თქვენა.

მეფისტ. არა.

ზიბელ. მე ხვალ დავბრუნდები. (ღამე მშვიდობისა) დაესხენ ღამის სიწყვდიადის ქვეშ, ისინი სიყვარულს თავისას თავისუფლად ეძლევიან, არ დაუმლი მე იმათ სიყვარულზე ლაპარაკსა. ჩააცვი შენის სათვარვლით ღამეკ, და დაესხენ სიყვარული იმათ სულისაგან განაქარვებს, ურველს სულის ტანჯვას სულიერს. ყვავილებო, გაალეთ თქვენი კუჩხები, და ჰაერით შეამსეთ, თქვენ კეთილ სულნელობით თქვენითა. და თქვენის წმიდის საწამლავით, გაუგავრეთ საქართოთ, თქვენ გულ-ში მარგარიტასა.

## გამოცხადება 9. ფაუსტი და მარგარიტა.

მარგარიტა. დროა! დროა! მშვიდობით!

ფაუსტ. ეჰ! გევედრები, ტკბილათ, მამეცი მე ხელი შენი, მივიკრა ჩემს ხელზე, მსურს მე, შენს საყვარელს სახეს. უყურო სულ, მარად ამ ღამის ბინდს ნათელში, ვარსკვლავებისგან ცისა, ოქროს ფრათ, რომელიც ჰმოსავენ, ბურუსივით ნაზს სახეს.

მარგარიტა. სიჩუმეცა და დაფარულობაც. ოჰ რამდენი სიტკბოებაა! მე სულ, მე სულ აღელვებულვარ, და მესმის ხმა უცნაური, მე თჳთ ჩემს გულში, დამანებეთ მე თავი.

ფაუსტ. ეგ რას ნიშნავს?

მარგარიტა. ყვავილს ვკითხამ.

ფაუსტ რას ჩურჩულობ შენ?

მარგარიტა. იმას უყვარვარ.... არა, არ უყვარვარ? უყვარვარ... არა.—ახ! უყვარვარ, უყვარვარ.

ფაუს. ჰო! ერწმუნე, ოჰ ერწმუნე ყვავილს! ყვავილი სიყვარულისა იგია, და გულსა შენსა, ის ეუბნება, რომ გულს უნდა... ჰო ერწმუნე ყვავილს! ჰო უყვარხარ! როცა უყვარს რა სიტკბოებაა, ატარებდეს სულში უცხოს ალსა და სიყვარულით მარად ითჳსებდეს.

ფაუსტ და მარგარიტა. ოჰ ღამევ სიყვარულისავ, ბრწყინავ შენ ვარსკვლავებით ოქროს ფრათა... ოჰ! სიტკბოებავ უზომო. მიყვარხარ, მიყვარხარ, მარა ისე, რომ შენთან ერთათ ვიცოცხლო და შენთან ერთათ ვკვდებოდე.

ფაუსტ. ოჰ! მარგარიტავ, ანგელოზო!...

მარგარიტა. გამეცალე!

ფაუსტ. შეუბრალებელო!...

მარგარიტა. გბარბაცებ მე... უჰ!

ფაუსტ. შენ ვერ დაგშორდები.

მარგარიტა. ოჰ გებრალებოდეს მარგარიტა. და ჩემს გულს ნუ სტანჯავ!

ფაუსტ. შენ უნდა მე დაგშორდე, ოჰ! შემიბრალე მე.

მარგარიტა. თუ რომ მართლა, თქჳენ გეფასებით, გაფიცებ სიყვარულსა, მე დამიტოვეთ! და შემიბრალეთ, გეხვეწებით მე!

ფაუსტ. უჰ! გაგიშვათ, შენა—შენა მთხოვ! თუ რომ შენ იცოდე,

როგორ მძიმეა ჩემთჳს! ოჰ, მშჳნიერებავ ცისა. ოჰ უწმინდესობავ, რომლისაც მალვამ, შეიბორკილა ნება, ჩემი სრულიად. მე მივდივარ მარა ხვალე ვნახამთ კიდევ ერთმანერთს.

მარგარიტა. ჰო! ხვალა, ცისკრის დროს.

ფაუსტ. მოვალ!

მარგარიტა. ხვალამდინ.

ფაუსტ. მშჳდობით!

## გამოცხადება 10. მეფისტ და ფაუსტი.

მეფისტ. ოჰ რა მასხარაა!

ფაუსტ. ყურს გვიგდებდი...

მეფისტ. ჰო დიახ... და ვხედავ მე რომ უნდა თქჳენ დოსტურო შკოლაში ახლად შეგზავნოთ.

ფაუსტ. გაიარე...

მეფისტ, დოსტურო. თქჳენ დაჩუმდით... ის ქალი ვარსკვლავებს დაუწყებდა ლაპარაკს, აი ფანჯარაცკი გაიღო ბედზედ!

მარგარიტა. მე იმას უყვარვარ!... გული მიძფოთამს, ჟღივილი დაიწყეს ფრინველებმა, ქრიალებს ნიავი! ყოველს ალაგს. რაღაც ხმაურობაა, სულ გულს ეჩურჩულება. იმას უყვარხარ—უყვარხარ! ოჰ როგორ ყოველი სიცოცხლე, მშჳნიერი შეიქმნა, როგორის ცეცხლით, აღვსებულ ვარ მე! გაიხსნა ცა, წინაშე ჩემსა... დროზედ, ადსდექი შენ, მშჳნიერი დღეა! ოჰ! დაბრუნდი ჩემო საყვარელო!

ფაუსტ. მარგარიტა!

მარგარიტა. ახ! (ერთს მინუტს დარჩება გაოცებული, მერმე გადუდებს თავს მხრებზე ფაუსტს მეფისტოფელი. სიცილით გამოვა კალიტკით, კარებიდგან.)

## მეოთხე მოქმედება.

### ოთახი მარგარიტასი.

#### გამოცხადება 1. მარგარიტა მარტოდ.

მარგარიტა. ისინი აღარ არიან ეხლა; ვიცინოდი იმათთან მე... ეხლაკი აღარ არიან.

ხმა ქალებისა. (ქუჩაში) ის უმაწვილი გაიქცა, და აღარ დაბრუნდება... უი! ისმის ხმა იმათ სიცილით წასვლისა.

მარგარიტა. ისინი იქ დამალულან.. ოჰ ღმერთო! როდესაც მე ვერ ვპოვებდი საკმაო სასჯელს, ცოდვებისათჳს სხვისა უბედურთაგანისა.. ახლა, მეც მოტყუებასა ჩემთჳს ვერ ვპოვებ, სირცხვილი მაწვია ჩემს თავზედ. მარა უწყის ღმერთმა რომ არა ვარ გარყვნილი მე და შევიქმენ წუმედული. მხოლოდ საყვარლისგამო და სინაზისა უღრმედის. (ჯდება ჯარაზედ,) ახ! არ მოდის, წოდებაზე ჩემს უმხურვალესისა, არ მიპასუხებს, მე ის უბედური, უნდა დავფარო მე, ტანჯვა ჩემი, უნდა მე გულში, ოსვრა დავაყრუო. ნუთუ ვერ ვნახავ იმას კვალად? ვუწოდებ მარა ტყვილად, გაჰქრა ჩემთჳს მარად. (ჩამოჰკიდამს თავს და სტირის: ჯარას ტარი ხელიდგან უვარდება).

#### გამოცხადება 2. მარგარიტა და ზიბელი.

ზიბელი. მარგარიტა.

მარგარიტა. (თავს იღებს.) ზიბელ!

ზიბელი. ხელახლად კიდევ ცრემლები?

მარგარიტა. ახ! მხოლოდ თქჳენ არა ხართ ჩემზედ შეუბრალებელი.

ზიბელ. დაეხსენ მე ვიყო უმაწვილი, მარა გული კაცისა მაქჳს მე და გადაუხდი შენს მაგიერ, შენ მაცდუნებელს მე... მოვკლამ!

მარგარიტა. ვისა?

ზიბელი. უსვინიდისო და ბოროტის მომქმედს, რომელმანცა თქვენ დაგანებათ თავი.

მარგერიტა. ოჰ, არა მე გევედრები.

ზიბელ. მაინც კიდევ თქუენ გიყვარსთ.

მარგერიტა. ჰო, დიახ მიყვარ მე, მარა დავანებოთ თავი ჩუენ იმასა! თქუენის მეგობრისათჳს,—თქუენ მე მადლობას მოგახსენებთ, მიეც ღმერთო მაგიერი! იყოს ცაჲ თქუენი მეოხე! დაეხსენ მძლავრობამ ჩემზედ, გაიცინონ... ვერ დამიკლებენ ისინი მე სახლსა ღვთისასა.. მშვიდობით ზიბელო, მე უმარწვილისათჳს ჩემისა, მივალ სალოცავად! (ქუჩა მარცხნივ, სახლი მარგარიტასი, მარჯვნივ ეკკლესია.)

გამოცხადება 3. მარგერიტა, მერმე მეფისტ.

მარგარიტა. (მიახლოვდება კარებს, მოაჯირსა და დაიჩოქებს ხვეტ-თან.) ჵ! ღმერთო მიეცეს, მონასა შენსა ნება, ტრაპეზის წინაშე დაცემისა.

ხმა. ჵ! არა!... შენ უნდა ილოცო? მიახლოვდით იმასთან თქუენ, სულნო ბოროტნო საჩქაროთ!

ეშმაკნი. მარგერიტა!

მარგერიტა. ვინ მიწოდებს მე? მე ვთრთი... ჵ ჵ! ღმერთო შემიბრალე, ნუ თუ საათი სიკუდილისა სდგება ჩემი? (ხვეტი ირღვევა და სჩნდება მეფისტ.)

მეფისტ. მოიგონე დღეები შენ, როდესაც ანგელოზნი ფრთებით გულსა შენსა ჰფარავდნენ, მაშინ წმიდის გულით საყდარსა უფლისასა შესულა შენ შეგიძლო. ახლა შენა ხარ წაწყმედილი და ჯოჯოხეთი, ვაებით შენ გიწოდებს. საუკუნოდ შენ დაიღუპე, წაწყმედილებაშია ალაგი დღეის იქით შენი.

მარგერიტა. ვისი ხმა ბნელაში მე მესმის, ჵ ღმერთო!

ხორი. მართლსუფლებისა. როდესაც უფლისა დასდგება დღე, და გამობრწყინდება ცაში ჯვარი, მაშინ ქრისტიანნა კვე მიიქცევა მტვრათ.

მარგარიტა. ჵ! ეს სიმღერა საშიშარია, საშიშარია!

მეფისტ. შენ ღუთისაგან მიტევებას ნუ ელი! და ცა ნათლისა შენთჳს საუკუნოდ, საუკუნოდ დახშულ არს!

ხორი. რას ვიტყვი მაშინ მე უფალო, სადღა ვიპოვი დამცველსა მე? როდესაც მართალიცკი თრთის .

მარგარიტა. ახ! ვიხრჩობი, მე გული შემივიწროვდა, სუნთქუა მე არ შემიძლიან.

მეფისტ. მშვიდობით, ღამევ სიყვარულისავ მშვიდობით, დღენო სიტკბოებისავ! არ არის შენთჳს, არ არის ცხონება, დაღუპული ხარ შენ!

მარგარიტა და ხორი. უფალო! მიიღე შენი გული, ლოცვა წუხილისა, სხივი ჩემზედა, წარმოგზავნე შენ ცის კიდითგან. და ნაღველი ჩემი დაამშვიდე.

მეფისტ. მარგარიტა! წაწყმედილი ხარ შენ!

მარგარიტა. ახ! (მირბის).

### გამოცხადება 4. ზიბელი და მართა.

ზიბელი. მართა!

მართა. ახ! ვ-ადლობ ღმერთსა, თქუენ აქ ხართ?... მარგარიტა? უბედური!... ხომ მოკვდა ძმა მისი.

ზიბელი. ოჰ ცაო! ვალენტინ!

მართა. თქუენ გესმისთ... ის არის ისა. ის მოარჩინეთ ღუთის გულისათჳს, ზიბელო.

### გამოცხადება 5. ვალენტინი, სალდათები, მერმე ზიბელი.

ხორი. იარაღი ჩუენ დავალაგეთ, ჩუენის მამულის სავედილოთან დავბრუნდით ჩუენ შინა, ნათესავებო! ცრემლები თქუენი, მოიწმინდეთ; შვილები თქუენი თქუენ შუა სდგანან კიდევა.

ვალენტინ. შენა ხარ ოჰ, ჩემო ზიბელო?

ზიბელი. (შეკრთომით.) ჰო.

ვალენტინ. მოდი ერთი მოგეხვიო... ჩქარა მოდი ჩემს გულზედ. მარგარიტა სადღაა?

ზიბელი. საყდარში წავიდა.

ვალენტ. საწყალი ჩემთჳს წასულა სალოცავათ, აბა ყურს დამიგდებს ისა მე, დიდის შიშითა, როდესაც დავიწყებ ომიანობის ამბავს-

ხორი. აბა შე ქმნება სიხარული სახლობასა ცოლებისა და ქალები-სათჳს, ბიჭებისათჳს მამის ლაპარაკი, როგორ სასიამოვნოა ყურის გდება იმაითჳს, მამის პირისაგან ომიანობაზე, მხედრის მოგონებას! სახელო უკუდავო, წინაპართა უდიდესთა, იყავ შენ წინამძღოლად

კრთგულათ ჩუჱნის, გამარჯვებულებზე, ფთები გადმოშალე, ახალი მამაცობა, გულში გაადვიძე! ჩუჱნ შენთჳს, მამულო მჳროფასო, მზათ ვართ სიკუდილი შეუძრწუნებლივ ვიგისროთ, ომში კმალით ჩუჱნით, შენა გამჳებლობი. სახელო უკუდავო, წინაპართა უდიდესთა, ახალი მამაცობა, გული გააღვიძე. ჩუჱნ ჩუჱნ სახლებში წავიდეთ ჩქარა, იქ ჩუჱნ, ჩუჱნნი მეგობრები, იქ ჩუჱნ პატივისცემით დაგვხვდებიან, მოსალმებით, იქ ჩუჱნ სიყვარულით, მოხვევნა გვულის, რამდენს, მრავალს ბედნიერებას ჩუჱნ მიუძღვნით, რამდენი გული აორთოლდება სისარულით!

## გამოცხადება 6. ვალენტინ ჲ ზიბელი.

ვალენტ. წავიდეთ რაღა ზიბელო, ჩუჱნ ჩუჱნ სახლებში? ჩუჱნ სუფრაზე შენთან მოვილაპარაკებთ.

ზიბელი. არა, ნუ შესვალ!

ვალენტინ. რას ნიშნავს? არ შემომიტრიალებ, თვალებსა შენ. ან მიწაზედ დაიყურები. ოჴ ზიბელო. რა მოხდა სთქვი?

ზიბელი. ოჴ... არა! მე არ შემიძლიან.

ვალენტინ. რას ამბობ?

ზიბელ. მოიცა.., ვალენტინო! ოჴ, შემიბრალე,

ვალენტინ გამეცალე! დამანებე თავი!

ზიბელი. დაიხსენ ისი შენ ცაო!

## გამოცხადება 7. ფაუსტ ჲ მეფისტ.

მეფისტ. რაღას კიდევ აქ ყოყმობ? წამოდით თქუჱნ ჩემთან.

ფაუსტ. დასწუმდი!... ვიტანჯები მე, რომ შეწუხება ჲ შერცხვენა შემოვიტანე მე აქ.

მეფისტ. მაშ რისასათჳს დაგინებებია თავი ჲ კიდევ გინდა ნახო? ხაითმე ხსუა ალაგსა სჯობს, ვალპურგის ღამის უქმეა დღეს!.. იქ არ წავიდეთ?

ფაუსტ. მარგარიტა!

მეფისტ. მარა თუ ჩემი რჩევა არასოდეს არ შეცვლის თქუჱნს ნე-

ზას მაშ რომ კარებთან არ ვიდგეთ, ჩემმა ხმამ უნდა გააღვიძოს. ამ ჟამად შენს მაგიერ, თავს იმძინარებ, საყუარელო ჩემო კუმირო; (1) ანუ არ გესმის, გაგზარინე, სიმღერა ჩემი, მარა მიღება საშიშოა მე-გობრისა, აი ჩემი რჩევა. უნდა მიიღო მაშინ, როდესაც, შეიცვა ბე-ჭედი, იყო სოლმე შეუბრალებელი არაუმავარა, გატინგა, სანდისსან; მარა უნდა იყო ცოტა ძუნწი ალერსისა, საყვარელო ჩემო ღმერთავ.

გამოცხადება 8. ისინივე და ვალენტინი.

ვალენტინ: რა გინდათ უფალნო თქვენა.

მეფისტ. ამხანაგო მოგვიტევე... მარა ჩუენ სრულებით შენ არ გაძლევდით სერენადას (2)

ვალენტინ. მე ვიცი რომ იმას, ჩემის დისათჳს აძლევდით თქვენა

ფაუსტ. ოჰ ცაო!.

მეფისტოფ. (ვალენტინს.) უეჭველად თქვენ, გალობა არ გიყვა-რსთ.

ვალენტ. სირცხვილი ჩემზედა წავს, რომელ თქვენ მე უნდა გადაგიხადო სირცხვილისა და ბიაბრუობისათჳს. დამამძიმებელის ჩემი-სა, რომელი თქვენგანი უნდა მოვკლა?

მეფისტ. თქვენ აგრე გსურსთ... აბა... აბა დოსტურო დაიწყეთ! ხამთავე,

ვალენტ. (ოჰ ცაო, მამე შენ მე, მამაცობაც და ძალაც! სისხლში იმისში გავიბანო უპატიოსნობა, გაღდებულ ვარ მე.

ფაუსტ. მე ვგრძნობ ჩემში, არც მამაცობაა არც ღონე, რისთჳს მოვკლა ის, რომლიც გავაუბა იყრე?

მეფისტ. (ხაშინლათ მაცინებს. იმის ანჩხლობა; უწყუოდ ისკი არ-ის, რომ ახლო არს ალსასრული.

ვალენტ. (იღებს მედალიონს, რომელიც ჰკიდია კისერზე) ოჰ შენ, მე მოგირჩენივარ, ომიანობის ცეცხლისკან, ოჰ მარგარიტას საჩუქარო' გამეცალე ჩემგან, შენ გაღდებ! ო მოძულებულო მედალიონო!

---

(1) კუმირი. ეს სიტყვა ნიშნავს როგორც საგანი რაიმე საოცარი.

(2) სერენადა ის თქმაა რომ ფანჯრისა ანუ კარების წინ მოვლენ საყვარელნი, დაუკვრენ და იმღერიან იმისთჳს.

მეფისტ, ინანებ შენ მაგისგამო.

ვალენტ. (ფაუსტ.) ხმალი ამოიღე და დაიფარე შენი თავი

მეფისტ. (ფაუსტ.) მოახლოვდით თქუენ ჩემთან თქუენ მხოლოდ დაეცით და დაფარვისათჳს მე ვიზრუნებ.

ვალენტ. ახ!

მეფისტ. აი ჩუენი გმირი, წევს სისხლში მოსვრილი, და მტვერში ახლა გავიქცეთ. (მიყავს თავისთან ფაუსტი. შემორბიან მართა და მცხოვრებლები-)

გამოცხადება 9, ვალენტინი, მართა. მცხოვრებლები, მერმე ზიბელი და მარგარიტა,

მართა და ხორი. აქ ისინი მოვიდნენ, და სასიკუდილოთ გაემზადნენ, ერთი იმათგანი დაეცა. აი აგერ ის წევს, კიდევაც არ არის მკვდარი, იძვრის და სუნთქავს, მალე გავიქცეთ. მალე უნდა უშველოთ ჩუენ?

ვალენტ. არ უნდა... დაანებოთ ოხვრას თავი, დავსვედრილვარ მე სიკუდილს, ერთხელ არა, იმისი არ მეშინიან. როდესაც ის მოვიდა, (მარგერიტა გამოდის ზიბელის უჭირავს.)

მარგერიტა. ოჰ! ვალენტინო, ოჰ ძმაო ჩემო!

ვალენტ, მარგარიტა. რასა ყვირი შენ! გასწი აქედგანა!

მარგერიტა. ღმერთო!

ვალენტ. იმის გულისათჳს მე, სულელი ვარ. ეხლა ვკვდები, მინდოდა გამაუპატიურებელისათჳს, მე მიმეგო მაგიერი.

ხორი. ის შენის გულისათჳს კვდება.

მარგერიტა. ახალი ნაღველი! დავსჯილვარ მე!

ზიბელი. გებრალებოდესთ ესა.

ხორი. მაგის გულისათჳს კვდება, ის არის მაცდურის მიერ გულდაკოდილი.

ვალენტ. გამიგონე ერთი შენ მარგარიტა! ვისიც ბედია რომ დაეცეს—დაეცემა, სიკუდილს ვერ გაექცევი, ის თავის დროზედ მოვა და უმაღლესის ნებას უნდა დაემორჩილოს ყველა. შენკი წახვალ ცუდ გზაზე, მუშაობას გადაეჩვივნენ შენი ხელები, რომ კმაყოფილებაში შენ იცხოვრო, დაგავიწყდება შენ სირცხვილიც, პატიოსნებაც და

ღმერთიცა, კიდევ გაბედე დაფერილი ბოროტებითა ტარება ოქროს ჯინჯილისა. რაო! გეტყობა შეგრცხვა, სვინიდისმა გაიღვიძა... მოგიტევებს შენ მხოლოდ ცა, აქ შენ დაწყევლილი ხარ!

ხორი. ოჰ საშიშია! ღჳთის წინააღმდეგია, განა უკანასკნელს საათში, განა საათში შენის სიკჳდილისა. შენ წყევლას ჰზიდავ!

მარგერიტა. ოჰ მმაო! იფიქრო უნდა, სულისა შენისათჳს.

ვალენტ. იყავ შენ უწყალო გარყვნილო! დაიღუპები შენ ტალახში, მეკი თუმცა ვიღუპები შენის ხელიდგან, მარა მაინც მოვკვდები როგორც მხედარი. (კვდება).

ხორი. ოჰ! უბედური! მოკვდა ისი. (ვალენტინი მიაქჳსთ მეზობლის სახლში, ზიბელს მიჰყავს გულ შემოყრილი მარგარიტა!)

## მოქმედება მეხუთე.

### ვალპურლის ღამე. ლარსკის მთები.

### გამოცხადება 1. ხორი დაეთრევიან ცეცხლებით.

უდაბურს ალაგებში, ბნელა ტყეებში, და ველებში, და წყალ წყალ უფრისკულის სხივით. ღამის აზრდილში, დაფარფატებული მარად, გვანათებთ ცეცხლებს, აქედან იქა. დავფრინავთ ჩჳენ. და ჩჳენ ფრინვაში, თვალს ვერ გვიხწრობ. ჩჳენებანი ვართ ღამის, ცხოვრებნი კუზოხი, სულები ვართ მმინარნი, მიწაში მკჳდრების. (გამოცხადდებიან მეფისტ. და ფაუსტი.)

ფაუსტი. კმარა!

მეფისტ. აღმითქვამ შენა წამოსვლას ჩემთან და ჩემთა ყოფნას.

ფაუსტ, მარა სადა ვართ ჩჳენ?

მეფისტ. მორჩილი არიან ყოველნი. ჩემს ბრძანებას აქა, ვალპურლის ღამეა დღეს.

შორის ხმით. უ!—უ!—უ!—უ!—უ!—უ! ვალპურლის ღამეა დღესა.

ფაუსტ. როგორადაც მეშინიან მე.

მეფისტ. (დაავყენებს იმას). რისთჳს შენ გეშინიან, როდესაც რომ ერთი ჩემი ფიქრი, არ შეიძლებს ყოვლის ქმნილებას.

გამოცხადება 2. მთა სკდება, ჩანს განათლებული და მდიდრული და-მართული ზალა სასახლისა, სუფრაზე სხედან დედოფალი და სასახ-ლის უწინდელ დროს ხალხნი.—

მეფისტ. მხიარულ სუფრაზე შენ, განთიადამდე, შენ გიწოდებ მე. სასახლის ქალთაც და დედოფლებსაც. ჩვენებისას, დაუტევებ მე.

ხორო. ჩვენ წარსულის დროს უწოდებთ მხიარულებას ღმერთე-ბისას. და ვილხინებთ ჩვენ. დილის ცისკრამდე.

მეფისტ. დედოფალნო, მშვენიერებისანო, დროის დიდისის წარ-სულისანო, დედოფალო კლეოპატრა, და ყოველნო ისესნო! თქვენთან ჩვენ გამოვცხადდებით, ვახშამს, ამ სუფრის მოწილადეობისა. მარა სწრაფად ცეცხლი ვნებისა, უნდა გულში დავაცხროთ. (აძლევს სტაქანს ფაუსტს.) დალიე და განაგდე წარსული, შენ ჩქარა სულიდგან.

ფაუსტ. სულელური მომი ჩემგან განქარდა, გულს სუსტადა ავიწყ-დება, მამე ღვინო ჩქარა მე. (უჭირავს სტაქანი და სვამს.) ოჰ ბედნიერო ნექტარო!... სასმელით, გული აიმსო ჩემი, და მიზიდავს მე, გრძნო-ბის ძალა სიტკბოებისა, სურვილი, ილვიძებიან ჩემში, განვედით ნაღ-ველნო და დარდებო, ცხოვრება კიდევ მსურს სრულიად (მას წინათ რომლებსაც უნდა დალიოს სვეგება და ყურს უგდებს, მერე წამოსთქვამს სახელს მარგარიტასას: მოუბრუნდება უხილავს სულთან, რომელიც ქმნის, მერე ცოტ ცოტად იმალება და კიდევ ბნელდება, დედოფალნი და სასახლის ქალნი გაქრებიან.)

მეფისტ. დაეხსენ სასმლით სიტკბოებასა, იმას სინანული დაუფრთ-ხდება, (ფაუსტი აგდებს ჯიხოვს, სასახლე ინგრევა.)

ბროკენის ველი.

გამოცხადება. 3 მთაზე ჩნდება მარგარიტა.

მეფისტ. რა მოგივიდა?

ფაუსტ. განა ვერ ხედამ შენ? იქი ჩვენ წინა სდგას ფერ მკრთა-ლი, კისერზედ აქვს ხაზი, წითელი ცულის ნიშანი საშიშარი, უბედუ-რობის ნიშანი დასჯისა. (მარგარიტა გაქრება.) ოჰ მარგარიტა, ტვინი ჩემი სდება. წავიდეთ ჩქარა! მე მსურს იმის ნახვა, (მიჰყავს თან მეფისტ. სმლით იბობს გზასა, რომელი უჭირავთ ქამანდს და უნდათ რომ დაიჭირონ,)

## მოქმედება მეექვსე.

### საპყრობილე.

გამოცხადება 1. მარგარიტა მძინარე. ფაუსტ და მეფისტ.

მეფისტ. დღე მალე გათენდება... დამზადებულია ეშაფოტი. დასჯისათჳს. შეაგონე როგორმე, გაქცევა შენ მარგარიტას. აი გასაღები, კარის ყარაულებსაც სძინამს.

ფაუსტ. დამეხსენ მე!

მეფისტ. დაჰშურე... მორჩი დროზედ, მე დავსდგები ყარაულათ.

გამოცხადება 2. ფაუსტი და მარგარიტა.

ფაუსტ. მეკიდა საშინელება ჩემს გულში, ოჰ! რა სატანჯველია... ზვინიდი ის ტანჯვა. საშინელებაა!... ის არის, ისა, უბედური ქმნილება. საპყრობილეში დაუგდიათ როგორც რომ დამნაშავე იქმნება. მწუხარების გამო ჭკუაზედაც შეიშალა, ყმაწვილი თვისი, უჰ! თავის ხელით მოკლა. მარგარიტა!

მარგარიტა. (იღვიძებს). ვისი მესმის გულში ხმა? ამ ხმაზე გული გამიცოცხლდა, მე თითქმის, შუა სიცილის ბოროტ ბოროტ სულებსა რომელნიც გარშემორტყმულ არიან. მეცნობა ეს ხმა.. მე ხვავნად ის მიზიდამს, მე დავხსნილვარ... ის აქ არის... კიდევ ჩემ ფეხ ქვეშ...

ფაუსტ. ჰო! დიახ მე ვარ შენთან, სიყუარულით და სინაზით. შენთან, ანგელოზო ჩემო. შენ კიდევ გიპოვნე მე, და იქმნები დახსნილი შენ. სატანჯველიც გათავდება

მარგარიტა. ჰო, დიახ! ის არის ჩემთან, სიყუარულით და სასოებით, ის არის კიდევ აქ ჩემთან. მე მიპოვნა იმან კიდევ, და ვიქნები დახსნილი მე... სატანჯველები თავდება, დამავიწყდა მე ტანჯვა, და სირცხვილიც და უპატიოობაც ყველა ქვეყანაზე განქრა. და ახლა შენთანა ვარ! (ფაუსტს სურს წაყვანა იმისი)

მარგარიტა. (წყნარად გადაავლებს იმას კელში შეცოთმილებაში.) მოიცა... აი ადგილი, სადაც მე შენ პირველად შეგხვდი, სადაც შენი

ხელი ჩემს ხელს მოხვდა, «ნებას მომცემთ მე, უმშვენიერესო ფრე-ილეინავ. თქვენ ხელი მოგცეთ, საზოგადო სასიარულოთა? არა ვარ ფრეილეინი მე, და არცა ვარ მშვენიერი, და ამისათჳს არა ვღირს-ვარ, მე რიცარის ხელისა.

ფაუსტ. რას ამბობს ისა.

მარგარიტა. აი ისა და ბაღი, აი ყვავილებიცა, სურნელებით იმის-გან არის ამსებული, ღამე ცა მოჰფინა ბნელით, სურვილმა ჩვენ მაშინ შეგვაერთა, ყლივილი ფრინველთ იყო საუცხოვო, გულში ისა რაკრაკს აღვიძებდა, გალობას სიყვარულისას ჰგავდა ისა... ორივეს გული გვიცემდა ისე როგორც ერთისა.

ფაუსტ. ჰო, დიას, მარა წავიდეთ მიდის საათი, წავიდეთ წავიდეთ გავიქცეთ აქედგან! ოჰ, ნუღარ ვიგვიანებთ! ჩქარა! ამოვიდა ცისკარი ცაში. აგერ დღე ხდება და ეშაფოტი მზათ არის... გავიქცეთ ჩქარა.

მარგარიტა. საათმა აღსასრულისამ დაჰკრა, არ იქნება ჩემი შენთან წამოსვლა, ჩემი აღსასრული მოწერილია, და მე მოვკვდები მარტოდ.

ფაუსტ. ოჰ, არა, არ აღსრულდება, საშინელი ბედია, დაგიხსნი შენ სასჯელისაგან, ჩქარა გავიქცეთ ჩემთან ჩქარა... მიდის დრო!

მარგარიტა. მარტო, მარტო, მოვკვდები მე.

ფაუსტ. კიდევ დახსნა შეგიძლიან შენ წავიდეთ, წავიდეთ რაღა.

მარგარიტა. არა!

## გამოცხადება 3. ისინივე და მეფისტ.

მეფისტ. ჩქარა. ჩქარა... ახე ახლოს არს საათი, ნუ აგვიანებთ თუ არა ვერ შევიძლებ, დახსნას მე თქვენსას.

მარგარიტა. ხედავ მაცდურსა შენ ბნელაში? როგორი გაბღერილი იყურება ჯოჯოხეთის თვალით ოჰ. გააგდე შენ წმიდა ადგილისგან ისა.

მეფისტ. ჩქარა ეს კედლები, დაუტეოთ... განთიადია! აგერ ზა-რის ხმით ცხენების ფეხის ხმა, გესმის თუ არა, ცხენები მიწასა სცემენ ფეხებსა. (უნდა წაიყვანოს ფაუსტი.) ნუღარ გვიანობთ, იქნე-ბა რომ შევიძლოთ იმისი დახსნა.

მარგარიტა. უფალო! შენ შემოგწირავ თავსა ჩემსა. მოტევებას გთხოვ, რომ მიიღონ სული ცოდვილისა ზეცას ანგელოზთა შენთა (ფაუსტ) რისთჳს იყურები აგრე სასტიკად: შენ სულ მოხვრილი ხარ

სისხლში. ოჰ. განვედ! შენ საშიშარი ხარ ჩემთჳს.

ფაუსტ. (ცდილობს როგორმე ის წაიყვანოს.) ოჰ მარგარიტა!

მარგარიტა. ახ!

ფაუსტ. დაიღუპა.

მეფისტ. გაიწირა!

ხმა მაღლით, დაიხსნა (ანუ ცხონდა, ამასა ნიშნავს ეს სიტყუა.

ხორი. ცა გაიხსნა, ღმერთი უტევებს.

(კედლები საპყრობილესი ირღვევიან, სული მარგარიტასი მიჰფრინავს ცაში, ფაუსტი დაჩოქილი თვალს ადევნებს. მეფისტოფ. ეცემა მიწაზედ დაკოდილი ლახვრით მთავარ ანგელოზის მიერ.)

დასასრული.

ს. ფასლიონოვი.

## ჭმუნვარე მგზავრი:

შორით მავალი მივახლოვდი რა ჩემსა სოფელსა,
სულის წყურილით თვალი გარდვავლე ჩემ სახლ-სამყოფელს,
გულმა ყწიალოდ, სამწუხაროდ დამიწყო ძგერა,
რა მომაგონდა სატრფიალო, მეუღლის ყოლა
თავსა გუთსარი. სადღა მისვალ, ან რის იმედით,
აოხრებულსა სახლსა და კარს თვალით უმზერ ვით,
გიჟობს ისევ აუბრუნდე, სოფლის თავს საყდარს,
და ზედ დავკვდე გულ მხურვალედ საყვარლის საფლავს.
ვისგნით მოგაკლდა ამა სოფელს მუდროდ ცხოვრება,
დაგაგდო ოხრად, მოგიშალა სიამოვნება.
მუნით დავბრუნდი სახლისაკენ თვალთ ცრემლიანი,
რადგან ფიქრით სანუგეშო იმედიანი.
რა მივედ ეზოს და შევაღე სახლის კარები,
სატრფოს ანაზდად დასცქერა თჳსი თვალები,
მყისვე დავდუნდი, თავს მომეხსა შავათა რეტი,
ოდეს მოვედ გონს, ვნახე თურმე იყო პატრეტი.
იმა აჩრდილით ხმა მომესმა მეტყველებითა,
მე ხომ მოგივედი, მებრალვი, დასვალ მწუხარებითა.

---

იგივე. მგზავრი.

ვაჲ თუ დიდმა დრომ გაიაროს. ვიდრე მომივა სწადრი სიკვდილი,
მე დამთენილმან ამა სოფლადთ ხან გრძლად გამეთ გულით ტკივილი,
შეწუხებულსა გულ მტკივნეულსა, სულიც შემექნას უღლურებული.
შემდეგად მივხვდე საყვარლის სამყოფს ყოვლით უდროსო მე დაჩა-
გრული,
ვითარცა შევმლო მასთან ალერსი ოდეს ვისილო მის ტკბილი სული,
ღმერთო, მაკმარე ამ სოფლადთ ტანჯვა. იქაც არ ვიყო შეწუხებული.

ზ. წინამძღვაროვი.

1806-ს წელსა, 15 მაისს. ს. ახაშენი.

პატიოსნისა დ̃ დიდებულისა მთა წმიდისა, ქართველთა მონასტრისა, დ̃ ყოვლად დიდებულისა საღმრთოჲსა პორტაიტისა ხატისათჳს, რომელი არს თარგმანებით კარისა ღ̃უთის მშობელი.

წელთა დ̃ დღეთა უკეთილმსახურესისა დ̃ უნეტარესისა მეფისა კოსტანესთა, აღორძინდებოდა რა სარწმუნოება ჩუენი, დ̃ განმრავლდებოდა მადლითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, ზომონნი კერპთანი დასხდებოდნეს ყოველთა ქალაქთა დ̃ სოფლებთა შინა, წმიდანი ეკლესიანი აღემართებოდნეს, ზანაკნი მონაზონთანი განმრავლდებოდნეს, ხოლო შემდგომად წელთა რაოდენთამე გამოჩნდა კაცი ვინმე ღ̃უთის მსახური დ̃ სათნო უფლისა სახელით ვიდრემე პეტრე რომელსაცა სწადოდა მოპოვებად ადგილი ეგე ვითარი, რათა მეუდაბნოებით ეცხოვრა მას შინა დ̃ კაცთა სოფლისა ამისგან დ̃ ეცხოვრა ცხოვრებითა მეუდაბნოეთა, ამისათჳსაც ევედრებოდა ღმერთსა, რათა გამოუცხადოს ადგილი იგი თუ სადა მივიდეს, იხილა ჩუენებითა ყოვლად წმიდა ღ̃უთის მშობელი, დ̃ ჰრქუა: მამაო, მთასა ზედა ათონისასა არს განსასვენებელი შენი, რომელიცა გამოვითხოვე სავედრად ჩემდა დ̃ ნაწილად ძისა დ̃ ღ̃უთისა ჩემისა მიერ, რათა აქუნდეთ ცხ̃ა დ̃ ფარჳა, რომელნიცა განივლტიან სოფლისა ამისგან, რათამცა იყვნენ მუშაკნი უძილნი დ̃ უსულონი დ̃ უზრუნველად განვლონ ჟამნი ცხოვრებისა მათისა დ̃ მოიპოვონ ნეტარება იგი საუკუნო, რამეთუ ფრიად მთნდა მე მთა იგი, დ̃ მცირედთარე დღეთა განეგება იგი ერთა, რაჲამცა აღივსოს იგი მონაზონთა სიმრავლითა ყოველთა დ̃ დასათაგან, ხოლო წყალობა ჩემი დ̃ შემწეობა ჩემი არაოდეს მოაკლდეს მათგან ყოვლადვე ვჴსცვიდე დ̃ ვჴფარავდე, რათა კეთილად

სცხოვრებდენ მცხოვრებნი მას შინა, რამეთუ მაქუს ვედრი მისა მი-მართ ჩემისა.

ოდეს განიღვიძა ძილისა მისგან საღმრთომან პეტრე, აღავლინა მადლობა ღმრთისა მიმართ და დედისა მისისა ქალწულისა მარიამისად-მი, აღვიდა მუნ მთად და მხნედ ერკინებოდა ეშმაკთა, და მრავალგზის ხილვათა და გამოცხადებათა ანგელოზთასა ღირს იქმნა. შუამდგომ-ლობითა დედისა ღმრთისა ვითარ ცხოვრებასა შინა მისსა განცხად-ებულად აღმოსჭვირს და იქმნა ნიშთა და სასწაულთა მოქმედ და შეის-ვენა უფლისა მიმართ.

ამის შემდგომად წელთა რაოდენთამე მოვიდა მამა ჩუენი ათანასი, რომელმანცა აღაშენა დიდი იგი ლავრა ათონისა, რომელ მასვე ჟა-მსა იყო წმიდა მამა ჩუენი იოანე, ჭეშმარიტი საუნჯე სულისა წმი-დისა, კაცი წმიდა ნათესავით ქართველი და მდიდარი ფრიად სისხ-ლთაგან სამეფოთა, გარნა ესე ყოველი დაუტევა დიდება, სიმდიდრე და ყოველივე მამული თვისი და წარვიდა მონასტრად, განიძარცვა ძვირფასი იგი სამოსელნი, და შეიმოსა უპოვარითა შესამოსლითა, და დაბეჭდულითა ძაძითა და ფლასითა, ხოლო ესმა რა ხმა განსმენილე-ბა და წარმატებულება მოძღვრებასა შინა ღირსისა ათანასისა და მოი-ხს წმიდისა, წავიდა მისთანა და ჰპოვა იგი, რომელთა იწყეს ერთბამად შეუღლვით ჯგწა და ცხოვრება, და მცირედისა შემდგომად ჰკცნა იოა-ნემ, რამეთუ ძე მისი ვინმე მოსულ არს ვიზინტიად მშვიდობისა-თჳს, წარმოვიდა მოძიებად მისსა და ჰპოვა იგი, წარმოვიდნენ ერთ-ბამად სურვილით დამკვიდრებად დიდისა ათანასისთანა, რომლისა მიერ ისწავა ყოველი გვარი ფილოსოფოსობისა და კნინღა იქმნა ახა-ლი ოქროპირი, და სთარგმნა ყოველი წერილი ჩუენი ქართველისა ენასა ზედა; ამისა შემდგომად მოვიდა დიდი თორიკოს და იქმნა მონაზონი, რომელიცა იყო პირველი სპასპეტი ქართველთა სამეფო-ჲსა, და ჰყო მრავალნი წყობანი და დაკუეთებანი მტერთანი მრავალ-გზის, მაშინ მოესმათ უსჯულოთა მათ ნათესავთა სპარსთა სიკუდი-ლი კეისრისა რომანოზისა, წარმოემართნენ სამეფოისა ქალაქსა ზედა და მგზავრ სტყუენვიდნენ და იავარ ჰყოფდნენ აღმოსავლისა კერძოთ, ქალაქებთა და დაბნებთა და არავინ იყო მბრძოლ მათდა, და რაჲცა იგი ქმნეს ყოველსავე ჰყოფდნენ, ვინაჲდგან ძენი იმპერატორის რო-მანოზისანი იყვნენ ყრმანი მცირენი და არა რაჲ ძალედვათ წინააღმ-

დგომ ყოფად მათდა, ხოლო აგუსტას აქუნდა ფრიადი მწუხარება გულსა შინა ამის პირისათჳს.

---

ბერი ვინმე მოვიდა მკურნალისა მიმართ და ჰკითხა: გაქუს შენ მცენარე რაჲმე მკურნალი ცოდვისა: ხოლო მკურნალმან ჰრქუა, მოვედ და მიიღე ძირი მორჩილებისა, ფურცელი მოთმინებისა, ყუავილი სიწმინდისა, ნაყოფი კეთილთა საქმეთა, დანაყენ ფილსა შინა მდუღარებისასა, და განსცერ საცრითა გულისხმის ყოფისათა, და შთაყარენ ჭურჭელსა სიმდაბლისასა, დაასხ წყალი ცრემლთაგან მლოცველობისათა, აღატყინე ცეცხლითა საღმრთოჲსა სიყვარულისათა, განაგრილე მარხვითა და დაამარილე ძმათ მოყვარებითა, და ისმიე კოზითა სინანულისათა, და ესრე ყოველისა ამის აღმასრულებელი განკურნებული იქმნები უკუნისამდე.

---

თქმული წმიდისა მამისა ჩუჱნისა ეფთიმი მთა წმინდელისა, რომელი იყო ნათესავით ქართველი, რომელმან მრავალნი წიგნნი საღმრთონი თარგმნნა ბერძნულისაგან ენისა, ქართველთა ენასა ზედა, რამეთუ გამოიტყოდა იგი მადლითა სულისა წმიდისათა, და ესე მცირედი კითხუა მიგებაჲ მოჰსცა თევდორე სუცესსა საბაწმიდელსა, რამეთუ იყო იგიცა მღუდელი კეთილი ქართველივე.—

კითხვა. გევედრები შენ ღმრთოშემოსილო მამაო მაუწყე თუ რომელნი წიგნი არიან რომელთა იგი წმიდა კატოლიკე ეკკლესია არ შეიწყნარებს.

მიგება. წიგნნი რომელთა კათოლიკე ეკკლესია არ შეიწყნარებს არიან ყოველნი რომელნი მწვალებელთა მიერ აღიწერნეს; ორიგინე მწუალებელსა მრავალი წიგნები აღუწერია და არა შეწყნარებულ არს; და კვალად ევსევი პამფილიელისა წიგნი არს, მრავალთა რათამე საქმეთა და თხრობათა წარმოიტყუის თჳთო სახეთა, რამეთუ მრავლითა ფილოსოფოსობითა დაწერილ არს იგი, და წუალებანი მრავალნი ჩა-

ურთვიან მასვე. და ამისათჳს არა შეიწყნარებს ეკკლესიაჲ: იგი ქართულად ვისმე უთარგმნია, და უწინარეს მრავლის ჟამისა სიცოცხლისა ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანნესა მოეწერა ქართლით სტეფანე ეპისკოპოზსა ჭყონდიდისასა, და ეკითხა, ვითარმედ შესაწყნარებელ არსა კითხვაჲ წიგნისა ამის ანუ თუ არა; ხოლო ჩუენ მიუწერეთ მას ვითარმედ არა შესაწყნარებელ არს, თუმცა კარგნიცა საქმენი მრავალნი სწერიან, გარნა ღუარძლნიცა წუალებისათანი შთაურთევსავთ და და მით უხმარ არს იგი. და კვალად იგი ანტიოქიისა მოქცევა არა შესაწყნარებელ არს, რამეთუ ჭეშმარიტი ანტიოქიის მოქცევა იგი არს, ვითარცა კლემენტოს იტყჳს და პავლეს ცდათა მოხილვაჲ ნატყუარივე არს, და სხუაჲ რაჲმე, რომელსა შინა წერილ არს თომას სახარებაჲ, იგიც უცხოვე არს ეკკლესიისაგან; და წიგნი აბოკროფა უცხოთა რათმე საქმეთა მეტყველებს, და ეკკლესია საბერძნეთისა არა შეიწყნარებს და სხუაჲ რაჲმე არს ადამის ცხოვრებაჲ და არცა მას მიითვალავს ეკკლესიაჲ; და კვალად სხუაჲ არს წიგნი სიყრმე უფლისა, და არცა იგი შესაწყნარებელ არს, და მოციქულთა ცხოვრებანი, რომელნი განრყუნილ არიან მწუალებელთაგან, წმიდისა მათე მახარებელისა, და წმიდისა ანდრიასი, კვალად წმიდისა გიორგისა არს წამება უცხო, და უცხონი რამე საქმენი სწერიან, რომელსა ლადიანესი ეწოდების, ხოლო წამებაჲ ჭეშმარიტი წმიდის გიორგისა ეკკლესიასა შინა იკითხების იგი არს რომელ დეოკლიტიანეს მიერ იწამა: წმიდისა კვირიკე წამებაჲ, ვითარმედ სხუათა ვიეთმე დაწერეს წამება კვირიკესი უცხოჲ სჯულისაგან ქრისტიანეთასა. და სხუანი რომელნი ესე ვითარიმე ნატყუარნი მრავალ არიან სახელნი მათი არად სახმარ არს ესე ვითარნი აწ; რომელნიმე სხუათა მწუალებელთა დაუწერია და თჳთვე საცნაურ არს: ხოლო ესე მოციქულთა და მოწამეთა წამებანი და მოთხრობანი მას დაწყებულნა ივლიანეს ვითარცა იყო მტერი უფლისა და ყოველთა წმიდათა, მან განრყუნა რათამცა ნაცილად შერაცხნეს ყოველნი და არამცა ვის სარწმუნო უჩნდა წამება წმიდათა მოციქულთა, გინათუ მოწამეთა, არამედ უფალმან იესო ქრისტემან სახელი მისი აღხოცა, ხოლო წმიდათა სახსენებელი ვითარცა მზე გამოაბრწყინვა ყოველსა შინა სოფელსა, რომელთა თანა არამც ნაწილი და სამკვიდრებელი შენი და ჩუენი წმიდაო მამაო: —

კითხვა, მაუწყე მე საუკუნოთა დღესასწაულთათჳს, თუ ვითარ ჯერ

არს პურობაჲ?

მიგება. საუფლოთა დღესასწაულთა არცა მუხლთ დრეკა ჯერ არს არცა მარხჳაჲ, არამედ რომელსა ზიარებაჲ აქუნდეს მოძღვრისაგან ეზიარენ ჟამსა სამხრისასა და პირი იხსნას და მადლობდეს ღმერთსა, ხოლო უკეთუ არა ეზიარებოდენ, წესისაებრ სამხრისა ილოცვენ და პირ იხსნან, გარნა თჳნიერ ლოცვისა უწესოჲ არს მიღე საზრდელისა.—

კითხვა. ყოველთა დღეთა არა ჯერ არსა მუხლთა დრეკაჲ?

მიგება. საბერძნეთისა დაყუდებულნი და ეკლესიანი ქრისტეს შობასა და განცხადებასა შემდგომად მუხლათ არა იდრეკენ ვიდრე მზგავსადმე, რომელ არს განცხადების მეორე დღე, მუხლთა არა იდრეკენ. და აგრეთვე აღვსებითგან რომელ არს აღდგომა ვიდრე მარტულიადმდე. ესე იგი, სულისა წმიდისა მოსვლადმდე. ხოლო სხჳათა საუფლოთა დღესასწაულთა, მას დღესა და სვალიდა დღე უკეთუ არა იდრეკს კეთილ არს, გარნა საზრდელისათჳს აღვსებიდგან ვიდრე ახალ კვირადმდე უფლად არა ჯერ არს მარხვა, არამედ სამხრად პირის ხსნაჲ. ხოლო მერითგან ხენაკსა შინა მყოფი თუ იმარხვიდეს კეთილ არს, მიერ ჟამიდგან ვიდრე მიმწუხრამდე, თჳნიერ შაბათ კვირიაკეთა. და ამაღლებისა, და შუა ზადიკისა, და სხჳათა საუფლოთა დღესასწაულთა; ეგრეთვე წმიდისა ღჳთის მშობლისა და წმიდათა მთავარ ანგელოზთა, წმიდისა წინამორბედისა და ნათლის მცემელისა წმიდათა ათორმეტ მოციქულთასა, და სხჳა წმიდათა რომელთა დღესასწაულნი იდიდებიან, წმიდის გიორგის მთავარ მოწამისა, და წმიდისა თეოდორესი, წმიდისა დიმიტრისა, წმიდისა ნიკოლაოზისა, წმიდისა იოანნე ოქროპირისა წმიდისა ვასილისა ესე ხსნილნი არიან.

კითხვა. რომელნი იგი სამარადისოდ იმარხჳან და წყალსა არა ჰსუამენ ასაკოროთა, რაჲ ჯერ არს მათთჳს?

მიგ. ასაკოროთა გახსნა ჯერ არს მათთჳს და წვენის ხმევა მწვალებელთა მათთჳს, რომელთა იგი არა ჯორი დადჳწყს მათ ეგრეთვე ძველი არის ორშაბათისა. და პარასკევისა ჯერ არს ხმევა წყლისა, ვინ ყოვლადვე წყალსა არა ჰსუამდის მაშინ მიიღებდეს მათ მწვალებელთათჳს, რომელთა იგი უჭჳლიარი მარხჳათა თანა შერაცხეს.

კით. დიდთა მარხჳათა ვითარ ჯერ არს ჟამის წირჳა?

მიგ. კათოლიკეთა მარხჳათა შაბათ კვირიაკეთა აღესრულების ჟა

მის წირჳაჲ, და დიდისა ხუთშაბათსა და ხარებასაცა ეგრეთვე, და სხჳათა დღეთა განმხლებით ჟამის წირვა ჯერ არს, ხოლო ჟამის წირვა არა აღესრულების.

კით. რაჲ არს ჟამის წირვა იაკობისი ჭეშმარიტ არს ანუ არა?

მიგ. წმიდისა იაკობისა ჟამის წირჳაჲ უეჭუელად ჭეშმარიტ არს და პირველად იგი იყო ეკკლესიათა შინა (სარწმუნოებისათა) საბერძნეთისათა და ჩუენთა, ხოლო ოდეს წმიდამან ვასილი და ნეტარმან იოანნე ოქროპირმან ჟამისა წირვანი გამოთქვნეს სიმოკლისათჳს ერმან იგი აღირჩია და წმიდის იაკობისი მივიწყდა. და ყოველნი ოქროპირისა ჟამწირჳნი, და დიდათა მარხჳასა ბასილისსა კჳრიაკეთა შინა თჳნიერ ბზობისა და მას დღესა ოქროპირით შეიწირვის, ეგრეთვე დიდ ხუთშაბათსა, შობის წინა დღეს. პირველს იანვარს და ნათლისღების წინა დღეს ჯერ არს წმიდის ვასილით შეწირვა, და უკეთუ ქრისტეს შობა და ნათლისღება დაემთხვევა კჳრიაკ ანუ ორშაბათს მაშინცა ჯერ არს ვასილით შეწირვა, და წინადღეებ იქმნება ოქროპირით შეწირვა და ოდესცა ვის უნდეს ყოვლადვე ნეთილ არს იაკობისი და პეტრესიცა.

კით. უკეთუ ოცნება მოიწიოს ვითარ ჯერ არს მას დღესა შინა?

მიგ. ძილსა შინა ოცნებით თუ დაბრკოლებაჲ ვისამე შეემთხვიოს მას დღესა არა ეზიაროს, არცა საკურთხეველად შევიდეს, არცა სასარებისა შემთხვევად შევიდეს, არცა ხატთა. არცა ჯუარისა, არცა წმიდათა მარტჳლებსა, უკეთუ კჳალად საწყინო რაჲმე იყოს. გინა უცხოთა ვიეთმე თანა იყოს და სირცხვილეულს უნდეს სასარებისა შემთხვევაჲ ესე ზომით ბრალი არა რაჲ არს.

კით. მაუწყე ესეცა, თუ რაზომ თანა აქს მოწაფესა მორჩილებაჲ მოძღუართა გინა სიტყვათა მათთა შედგომაჲ?

მიგ. მოძღვართა, რომელთა მოწაფენი აკურთხევენ, გინა აღსარებაჲ იტჳრთონ, უკეთუ წყალობისა. ანუ კაცის კვლას. ანუ სიძვას. ანუ გრძნებასა, გინა მწამლველობასა აწჳწვდეს მოძღუარი, ესე ვითარსა არა აქჳს ჴელმწიფებაჲ. და მოწაფე იგი უკეთუ ურჩ ქმნას უბრალო არს, ხოლო ამათ პირითგან კიდე სხჳაჲ რაჲცა ამცნოს მოწაფესა, რომელსა იგი აღსარებაჲ ეტჳრთოს გინა ეკურთხოს, ჴელმწიფება აქჳს მას ზედა, მოძღვარსა და მოწაფესა მასთანა აქს მორჩილებაჲ, და წარსვლად მოწაფესა მოძღვრისაგან თჳსისა თჳნიერ

წამებისა მისისა არა ჴელმწიფების ყოვლადვე, არამედ მოძღვარი იგი უკეთუ ადგილსა ესე ვითარსა ჯდეს; სადა ვნებანი იყვნეს, და მოძღუარსა მას არა ევნებოდის, ხოლო მოწაფე იგი ვნებასა შთავა-რდებოდეს, და უთხრას მოძღუარსა მას, და მან არა რაჲ იზრუნოს ცხოვრებაჲ სულისა მისისა და მოწაფე იგი განეშოროს ამის პირისა-თჳს უბრალო არს იგი: ხოლო სხჳაჲ არა რაჲ არს მიზეზი ურჩე-ბისა და მოძღჳრისაგან განშორებისა მისისა, უკეთუ კულა ურჩებითა და თმავსხედებითა განეშოროს, ამის პირისათჳს უბრალო არა არს იგი და არად შერაცხოს სიტყჳაჲ მოძღჳრისა თჳსისა სულისა თჳსა წარ-წყმდეს.

კითხვა. სქემის კურთხევისა შემდგომად ზიარებაჲ ვითარ ჯერ არს?

მიგება. სქემის კურთხევისა შემდგომად სხჳა არა რაჲ ბრალი შე-ემთხვევა მარადის ეზიარებოდის, უკეთუ კჳლად მესამე ემთხჳის ცოდ-ჳაჲ, კუალად კანონი უზიარებლობისა დაიმარხოს ვითარცა შეჰკავს ცოდჳსა არა.

კითხვა. მარხვათა შინა სქემისა კურთხევაჲ კეთილ არს ანუ არა?

მიგება. სქემისა კურთხევა შაფათ კჳრიაკეთა კეთილ არს და აქა ჩუჱნიანსა შაბათ კჳრიაკეთა აღესრულების კურთხევა სქემისა; უკეთუ კჳალად სნეულად ვინმე არს და დამძიმდეს, რომელსაცა დღესა ეკურთხოს კეთილ არს.

კით. რაჲ უკვე ვიცოდე თეოფილისთჳს. ჯერ არს შერაცხვად სხ-ჳათა თანა წმიდათა ანუ არა?

მიგ. თეოფილე მწჳალებელი არა იყო, ხოლო წმიდისა იოანნე ოქროპირისა შურითა დიდნი ცთომანი ჰქმნნა, და საბერძნეთისა ეკკ-ლესიათა შინა არავინ იტყჳს მოწყნებასა ვითარცა სხჳათა მწჳა-ლებელთა. და არცა ვინ აღხსენებს მოსახსენებლად მათ შინა.

კით. იტყჳან ვინმე, ვითარმედ ჰკჳრილე ჰგმობდა წიგნთა ოქრო-პირისათა; და ამის მიზეზისათჳს (ბრალი) მიიტაცა სასუფეველსა ხო-ლო ოქროპირი არა შეუნდლებდაო, და წმიდამან ღჳთის მშობელმან უხვანიშნაო?

მიგ. კჳრილე დიდი მნათობი არს ეკკლესიათა, და სახსენებელ არს ყოველთა კრებათა შინა, ყოველივე ეგრე იყო პირველად, და იგი ხვაიშნობაჲ წმიდისა ღჳთის მშობლისა ჭეშმარიტი არს კჳრილესთჳს, რამეთუ უსჯულო ნესტორი ჰგმობდა წმიდასა ღჳთის მშობელსა, და

იტყოდა არა ღ̃თის მშობლად, არამედ კაცის მშობლად, რომლისა
გმობასა ზედა მრავალნი მიიზიდნა. ამისთჳს წინა აღუდგა წმიდა კი-
რილე, და მრავალი ამხილა, და ვითარ ეგო უკურნებლად და მოუქცე-
ვლად, შეკრბა წმიდა კრება მესამე ეფესოს ქალაქსა შინა და შეაჩვენნეს
უსჯულო ნესტორ, რამეთუ პირველ იყო ესე კონსტანტინეპოლის
პატრიარხი, და შემდგომად ამა წვალებისა, შეიჩუენა და განიხადა
ეკლესიით და დაამტკიცა წმიდამან კრებამან კირილეს მიერ ქადაგე-
ბული წმიდა ღ̃თის მშობელი მარიამ ღ̃თის მშობლად, ესე ვითა-
რისა მიზეზისათჳს იქმნა სვაიშნობა ღ̃თის მშობლისა მიერ.

კით. კათოლიკეთა მარხვათა შინა რომელიმე ბრალად იტყვიან
ჭამასა თევზისასა?

მიგ. თევზისა ჭამა კათოლიკეთა მარხვათა შინა არა ჯერ არს,
რომელ არს დიდ მარხვა თჳნიერ განწესებულთა დღეთა, ესე იგი
ხარებასა ღ̃თის მშობლისასა და ბზობასა და თუ სხვათა დღეთა ში-
ნა იკადროს ვინმე დიდისა ბრალისა თანამდებ არს დადებად მას ზე-
და; და უფროსად იგი არს დიდი ბრალი, უკეთუ ვინმე თევზისა
წელსა თანა ინებოს და იკადროს შერაცხვაჲ, და თუ სადათ ანუ ვითა
დათესილ არს ეგე ქუეყანასა ჩუენსა სიკვირან, ვჰგონებ თუ სომეხსა
თაგან არს, რამეთუ მარხვა თევზისა კათოლიკეთა მარხვათა შინა
წესიერად განეწესა, ჯერ არს მონაზონთა მოწესეთა და ერისაგანთა
დამარხვაჲ, ხოლო ხარებასა და ბზობასა ჯერ არს მიღება, და არა
მიღება ბრალი არს უკეთუ ოდენ აქუნდეს, და უმეტესად სავნებელ არს
ღვინისა სმა და საბრალობელ სათრობელად მიმღებელი; ხოლო ესე
გარდაკუეთითი ვითარცა წერილ არს წუთლა კურცხი და უვლისა
მიღება დიდსა შაბათს მწუხრსა საღამოს მწვალებელთა სომეხთა არს
და არა კეთილ არს და სჯულისა კანონთა წინააღმდეგ და
მას შინაცა წერილ არს ამის პირობისათჳს, და იგი ჯერ არს, ხოლო
უმეტეს მისსა არა ჯერ არს.

კით. ვიეთნიმე აყენებენ ჟამის წირვასა ცოცხალთათვის, რაჲ უკუე
ჯერ არს?

მიგ. რომელნი ცოცხალთავის აყენებენ ჟამისა წირვასა ფრიად სცთე-
ბიან, რომელ ფრიად კეთილ არს წირვაჲ ცოცხალთათჳს და წმინდა-
თა მოციქულთა და მამათა მიერ განეწესა, არა ჯერ არს ყენება ესე
ი თარისა დიდებულისა კეთილისა, რამეთუ ყოველი ლოცვაჲ და კეთი-

ლისა სულიერისა ქმნაჲ, და ყოველი ქჳ̃ლის საქმე ცოცხალთა მიერ უმჯობესად ბრძანებულ არს; დაღაცათუ შესჳ̃ნებულთა თჳს იქმნების, აგრეთ ცოცხალთა თჳს კეთილ არს ჟამის წირვაჲ და ფრიად სანატრელ და წმიდათა მიერ განწესებუ, და ნეტარ არს კაცისა მის ვიდრე ცოცხალ არს, რომელ მან წინათ წარიძღუანოს წმინდათა ჟამის წირვა, და აგრეთვე შეჩვენებულთათჳს ფრიად კეთილ არს.—

## რედაქციისაგან

მომავალის **1867** წლითგან შაგვიძლიან დავპირდეთ მკითხველებსა რომ დიდი წარმატება მიეცემა გუთნის დედას,შინაგანი ღირსების მხრით. განხილვა და მართვა ყოველისავე სტატიებისა, რომელიც ამას იქით დაიბეჭდება ჩუენს გაზეთში სამუდამოთ იგისრა აგრონომმა, რომლის სახელსაც გამოვაცხადებთ შემდგომში, ამას შემდეგ არც ერთს სტატიას არ მივსცემთ ადგილს ამ გაზეთში, რომელიც არ იყოს გასაგონელი, სასარგებლო ანუ გასართობი მამულის პატრონებისა და მხვნელ მთესველებისათჳს, მამულის შესახებ სტატიებს გარდა, დავბეჭდავთ ამბავებსა, სასარგებლოსა ჩუენი ქვეყნის ვაჭრებისათჳს.

თუმცა რედაქციას აქვს საშუალობა, რომ რგიანათ გამოსცეს ეს გაზეთი, მაგრამ მაინც კიდევ ჯერ ავა სისრულეზედ თუ მამულის პატრონებმა მოუხმეს თავისი შემწეობა. შეუძლებელია გაზეთისაგან, რომ სრულებით კმაყოფილ-ჰყოს საჭიროება რომლისამე საზოგადოებისა, თუ ამ საზოგადოებამ არ მიიღო ზნეობითი მონაწილეობა გაზეთის არსებობაში. მეტადრე ამ გვარის გაზეთისათჳს სრულად მიუცილებელია მონაწილეობა კერძო პირთა, მამულის პატრონთა და ვაჭართა, ამ დროს მთავრობამ გამოაჩინა უეჭველი და მტკიცე წადილი, რომ უშველოს, სადაც საჭიროა, მამულის მართვასა და ყოველ გვარსა ჴელობაების წარმატებასა; მაგრამ ამისათჳს მიუცილებელია, როდესაც სად უფრო რა არი საჭირო. თუ აქიმმა არ იცის სენი, აბა წამალს როგორ შეურჩევს. თუმცა მთავრობას თვითვე ჰყავს კაცები და ატარებს აქა იქ სხუა და სხუა საჭიროების შესატყობად, მაგრამ მამულის პატრონობა ისეთი საქმეა, რომ ყველა ადგილასა სხუა მიმართულება და სხუა საჭიროება აქუს და სად გასწვდება სუთიოდ კაცი რომ მთელის კავკასიის მხარითგან მოაწოდონ საჭირო ამბები.

ამისთჳს, საზოგადო სარგებლობის სახელითა ვთხოვთ მამულის

პატრონებითა და სხუა პირთა არ დაგვაკლონ ამბავი თავიანთ ადგილის საჭიროებაზედ, რაც შეეხება მამულის მოვლასა და ვაჭრობასა, თავიანთი ჰაზრი მთავრობის განკარგულებაზედ ამავე საგნების შესახებ და ახალი ამბავი, რომელსაც ჰქონდეს მნიშვნელობა ამ საქმეებში.

ფასი წლის გამოცემისა ახალი წლითგან იქნება 1 მან. ეს ქაღალდის და ფოჩტის ფასი ძლივ არის და ესე იაფათ იმიტომ არის დანიშნული ამისი გაყიდვა, რომ მმართებლობა აძლევს შემწეობასა, რადგანაცა ჰსურს რომ თჳთ უქონელმა მხვნელ მთესველმაც შეიძლოს ამისი დაბარება და გააფხიზლოს გონება თავის ჴელობაზედ.

სია 1867 წლის ცისკარზედ კელის მომწერთა:

ტფილისში.

1. კნ. მანანა ორბელიანისა.
თ. გრიგოლ ორბელიანი.
თ. გიორგი ერისთავი.
თ. იასე ანდრონიკოვი.
კნ. თამარ მელიქოვისა.
სვიმონ ზუბალოვი.
ერეკლე გრუზინსკი.
ნიკოლაოზ ზუბალოვი.
გიორგი ანდრონიკოვი,
მანგლ. ერევნ. პოლ. ბიბლიოტეკა.
10, თ. ვახტანგ ორბელიანი.
კონსტანტინე ზუბალოვი.
კნ. ნინა ჩოლაყაევისა.
თ. იოსებ თუმანოვი.
კნ. ნინა ორბელიანისა.
ქეთევან დალინსკისა.
ანტონ ყორღანოვი.
დავით ჩაჩიკოვი.
თ. გიორგი მუხრანსკი.
ანტონ მამულოვი.
20, ელისაბედ ხიზანოვისა.
თ. მამუკა ორბელიანი.
თ. ალ. ბებუთოვი.
თ. დავით ერისთავი.
25, თ. დავით ჯორჯაძე.